



# გზა ლია ევროპისკენ

პიოტრ კაუმირკევიჩი

ადვოკატი რების სახელმძღვანელო

სამოქალაქო საზოგადოებისთვის:

მიგრაციისა და სავიზო პოლიტიკის

სფეროებში ევროკავშირის პოლიტიკის

გაზრება და მასზე ზემოქმედების მოხდენა



# გზა ლია ევროპისკენ

ადვოკატირების სახელმძღვანელო სამოქალაქო საზოგადოებისთვის:  
მიგრაციისა და სავიზო პოლიტიკის სფეროებში ევროკავშირის პოლი-  
ტიკის გააზრება და მასზე ზემოქმედების მოხდენა

**პიოტრ კაუმირკევიჩი**



პუბლიკაცია მომზადებულია ფონდ „ლია საზოგადოება – საქართველოს“ სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის პროგრამის შიდა პროექტი – „ბროშურის „Way to an Open Europe“ თარგმნა და გავრცელება“ – ფარგლებში.

**რედაქტორი:** ლია კაჭარავა

**დიზაინი:** თორნიკე ლორთქიფანიძე

**ბეჭდვა:** „ფაუნდეიციონის ჯორველია“

ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ „ლია საზოგადოება – საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

ISBN: 978-9941-0-6059-5

# სარჩევი

## შესავალი.

ხმამაღლა ვსაუბრობთ ოცნებაზე „ლია ევროპა“ ..... 5

## ნაცილი I.

სავიზო და მიგრაციის პოლიტიკის მიმოხილვა: რა დევს სასწორზე? .....	10
(i) მიგრაციისა და სავიზო პოლიტიკის საშენი აგურები .....	10
(ii) ფართო პოლიტიკური კონტექსტი .....	17

## ნაცილი II.

მიგრაციისა და სავიზო პოლიტიკის მმართველობა:

ვინ ილებს გადაწყვეტილებებს? .....	23
(i) წევრი სახელმწიფოები .....	23
(ii) ევროპული კავშირის საბჭო (ევროკავშირის საბჭო, საბჭო) .....	26
(iii) ევროკომისია .....	30
(iv) ევროპარლამენტი და ნაციონალური პარლამენტები .....	35
(v) მესამე ქვეყნები .....	41

## ნაცილი III.

ადვოკატურისა სამიზნებთან მუშაობა .....	45
(i) წარმატებული ადვოკატურის სტრატეგიის ელემენტები:	
როგორც მოვახდინოთ გავლენა? .....	45
(ii) ადვოკატურის სტრატეგიის შემუშავება ვიზის ლიბერალიზაციის ხელშეწყობისთვის ევროკავშირის დონეზე .....	48
(iii) მუშაობა წევრი ქვეყნების მთავრობებთან .....	54
(iv) ევროკავშირის ქვეყნებში საზოგადოებრივ აზრსა და მედიასთან მუშაობა .....	58
(v) ვიზის ლიბერალიზაციით დაინტერესებულ მესამე ქვეყნების მთავრობებსა და საზოგადოებებთან მუშაობა .....	63

## **ავტორის შესახებ**

პიოტრ კაჟმირკევიჩი პოლიტიკის სფეროს ანალიტიკოსია, მუშაობს ვარშავის საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში. სამხრეთ ორეგონის უნივერსიტეტსა და ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში პოლიტიკურ მეცნიერებათა კურსის გავლის შემდეგ მინ დაწერა ნაშრომები ევროპის განვითარების პოლიტიკის, აღმოსავლეთ ევროპაში მიგრაციის ტენდენციებისა და პოლიტიკის, ევროპავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის ურთიერთობებსა და ევროკავშირის შემდგომი გაფართოების საკითხებზე. პიოტრ კაჟმირკევიჩი არის ტრენერი და კონსულტანტი პოლიტიკის ანალიზის საკითხებში, რომლის საქმიანობა მოიცავს თანამშრომლობას ორგანიზაციებთან, როგორებიცაა PASOS (ანალიტიკურ-პოლიტიკური ასოციაცია ლია საზოგადოებისთვის), ლია საზოგადოების ფონდები, ევროკომისია, ვაეროს განვითარების პროგრამა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია.

## შესავალი

### ხმაგაღლება ვსაუპროგთ რცნებაზე „ღია ეპროკა“

თავისუფლება, უსაფრთხოება, მართლმსაჯულება... ამ პრინციპების მაქსი-მალურად თანამიმდევრული და ეფექტური გზით მიღწევა და შენარჩუნება აუცილებელს ხდის ევროკავშირის სახელმწიფოთა მფიდრო თანამშრომლობას, ერთი მხრივ, მეტი თავისუფლების დაშვებასა და ადამიანების მზარდ მობილურობას შორის ბალანსის მოძიების, ხოლო, მეორე მხრივ, ევროკავშირის მოქალაქეთა დაცვის მიზნით, რაც უსაფრთხოების სფეროში ეფექტური თანამშრომლობისა და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის შექმნის გზით მიიღწევა. ზემოთ აღნიშნული პრინციპები ასევე იმ პოლიტიკასა და პროცედურებს უდევს საფუძლად, რომლებიც, როგორც ევროკავშირის, ასევე მესამე ქვეყნების მოქალაქეთა ყოველდღიურ ყოფაზე აისახება.

ევროკავშირის სივრცეში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის მიზნით, აუცილებელია აღნიშნულ კონცეფციებს შორის როგორც სინერგიის, ასევე მათი ურთიერთნინააღმდეგობრიობის გაცნობიერება, რასაც თან უნდა მოჰყვეს გადაწყვეტილების მიღების პროცედურებისა და აღნიშნულ პროცესში ჩართულ მხარეთა როლის ჯეროვანი გააზრება. ევროკავშირის მმართველობის დინამიკური და მრავალმხრივი ბუნების გათვალისწინებით, ძალიერ რთული ამოცანაა სწორი იდენტიფიცირება ევროკავშირის ინსტიტუციათა იმ წარმომადგენლებისა, რომლებთან მუშაობაც აუცილებელია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში გადაწყვეტილების მიმღებ პირებსა და საზოგადოებაზე სასურველი გავლენის ეფექტურად მოსახდენად.

ევროკავშირის რეგულაციების სფეროში სულ უფრო მეტი ნაციონალური კანონმდებლობისა და პოლიტიკის მოქცევის პარალელურად სამოქალაქო დამცველები სულ უფრო მზარდად გრძნობენ შესაბამისი უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების განვითარების საჭიროებას, რაც აუცილებელია, რათა მათი ხმა გაიგონონ პანევროკავშირული დებატების ხმაურში. ეს უნარ-ჩვევები არსებითად მნიშვნელოვანია დროული შენატანის მოსამზადებლად შემუშავების პროცესში არსებულ რეგულაციებში, რომლებითაც იშართება ცენტრალური

მნიშვნელობის საკითხები სამოქალაქო და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში. აღნიშნული გამოწვევა განსაკუთრებით დამაფიქრებელია ევროკავშირს გარეთ არსებული არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, რომლებმაც უნდა მოიძიონ და ამოქმედონ ეფექტური ე.წ. შესვლის პუნქტები, რათა ხმა მიაწვდინონ ევროკავშირის სირცეში პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელ პირებს და საზოგადოებას დაუმტკიცონ თავიანთი კომპეტენტურობა განსხვავებულ აუდიტორიებს, მათ შორის, საკუთარ მთავრობებს.

ევროკავშირზე წესისმიერი სოციალური მნიშვნელობის საკითხში ზეგავლენის მოსახლენად აუცილებელია გააზრებულ იქნეს თავად ამ საკითხის სირთულე და კომპლექსურობა. თუმცა, კონკრეტული საკითხის მხოლოდ წარმოდგენილი ინტერესის ან სამიზნე ჯგუფის თვალთახედვით განხილვა, საკმარისი არაა. ევროკავშირი ჩართულ მხარეებს სთავაზობს ასპარეზს თითოეული საკითხის ირგვლივ არსებულ ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებათა დასაპირისპირებლად და ამ კუთხით, განსხვავებულ ხედვათა ლოგიკის გააზრება უაღრესად მნიშვნელოვანია დებატებში ეფექტურად ჩართვისთვის. ამავდროულად, აქტიურად მოღვაწეობს რა პოლიტიკის მდ სფეროებში, რომლებშიც განსხვავებული ღირებულებები და მყარად დამკვიდრებული ინტერესები ეჯახება ერთმანეთს. ევროკავშირი ასევე აცნობიერებს და ცდილობს დაარეგულიროს საკითხები, რომლებიც, შესაძლოა, ეფუძნებოდეს არა კონკრეტულ ფაქტებს, არამედ საზოგადოებაში არსებულ განწყობას.

მესამე ქვეყნების მოქალაქეთა თავისუფალი გადაადგილების საკითხი ევროკავშირის მზარდი ინტერესის საგანი გახდა, რაც ეფუძნება წევრი სახელმწიფოების მიერ ადამიანის ამ ერთ-ერთი ძირითადი თავისუფლების აღიარების პრინციპს. უზრუნველყოფენ რა მესამე ქვეყნების მოქალაქეთა თავისუფალ გადაადგილებას, წევრი ქვეყნები აბალანსებენ მას როგორც უსაფრთხოების საკითხებთან, ასევე თავიანთ ქვეყნებში არსებულ სოციალური უზრუნველყოფისა და თავშესაფრის სისტემების შესაძლებლობებთან მიმართებით. მაგრამ, მიუხედავად მნიშვნელოვანი მიღწევებისა, რაც თან მოჰყვა ბერლინის კედლის დაცემას – შენგენის სივრცის გაფართოება<sup>1</sup>, ვი-

1. შენგენის ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 1985 წელს, რის შედეგადაც შეიქმნა ევროპის შენგანის ზონა, სადაც კონტროლდება გარე საზღვრები, ხოლო შედა საზღვრებზე კონტროლი არ ხორციელდება. 2012 წლისთვის შენგენის სივრცე აერთიანებს ევროკავშირის წევრ 22 ქვეყანას, და ასევე, ისლანდიას, ნორვეგიას, შვეიცარიასა და ლიხტენშტეინს.

ზის გაცემის წესების შემოღება და სავიზო რეჟიმის გაუქმება ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობის მოქალაქე-თათვის – ევროპა მაინც გაყიდვილია ბარიერებით, რომლებიც აბრკოლებს თავისუფალ გადაადგილებას. შენგანის ვიზის მისაღებად განაცხადის შეტანის ვალდებულება, თანამდევი ხარჯები და ასევე, ღირსების დამამცირებელი გარემო, რაც ზოგჯერ ახლავს აღნიშნულ პროცესს, კვლავ პრობლემად რჩება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების (აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი და უკრაინა) 75 მილიონი მოქალაქესა და რუსეთის, თურქეთის, კოსოვოს და სამხრეთ ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების მოქალაქეთათვის.

ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისა და ევროკავშირის სხვა მეზობელი ქვეყნების მოქალაქეთათვის უვიზო მიმოსვლის მხარდამჭერებისთვის სასარგებლო იქნება გარკვეული გაკვეთილების გათვალისწინება ევროკავშირის წევრობის კანდიდატი და სამომავლო კანდიდატი ქვეყნების გამოცდილებიდან ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში. ამ ქვეყნებიდან მგზავრთა მიმართ თანაბარი პირობებით მოპყრობის პრინციპის ადვოკატირების გზაზე აღიმართა არაერთი ბარიერი, რომელთაგან ერთ-ერთი და არცთუ უმნიშვნელონ დაბრკოლება გამოიხატა ვიზის ლიბერალიზაციის საკითხის მიმართ ევროკავშირის ქვეყნებში არსებული საზოგადოებრივი აზრის შეცვლით, რასაც ხელი შეუწყო იმ რეალურმა გავლენამ (ან წინასწარ განწყობით განპირობებულმა წარმოდგენებმა წეგატიური გავლენის შესახებ), რასაც მიგრანტთა რეგულარული და არარეგულარული ნაკადები ახდენდნენ (ან მოახდენდნენ) ადგილობრივ შრომის ბაზარსა და სოციალური უზრუნველყოფის სისტემებზე.

მიუხედავად იმისა, რომ დემოგრაფიები და ეკონომისტები აღნიშნავენ ევროკავშირის დაინტერესებას იმიგრანტების გარკვეული რაოდენობით შემოსვლაში ევროკავშირის ქვეყნებში, რაც ხელს უწყობს ამ ქვეყნებში შრომის ბაზრის გაახალგაზრდავებას, ბევრი პოლიტიკოსი და უურნალისტი არჩევს უფრო მეტად გამოკვეთოს ის წეგატიური ასპექტები, რომლებიც თან მოსდევს ევროკავშირში იმიგრაციის მსურველთა ხელშეწყობას. მიგრაციის პოპულისტურ ჭრილში განხილვა, ფაქტობრივად, ქმნის ერთიან (წეგატიურ) დისკურსს ამ თემის ირგვლივ. ამასთან, მოსახლეობა არ არჩევს ერთმანეთისგან, ერთი მხრივ, ვიზიტორებს, რომლებიც ევროკავშირში უვიზო მიმოს-

ვლის სისტემით შემოდიან და უფლება აქვთ, იმყოფებოდნენ ევროკავშირის ქვეყნებში 90 დღით 180 დღის განმავლობაში, მაგრამ არ აქვთ ევროკავშირში მუშაობის ან მეტი ხნით დარჩენის უფლება, და, მეორე მხრივ, მიგრანტებს, რომლებიც უფრო ხანგრძლივი დროით იმყოფებიან ევროკავშირის ქვეყანაში კანონიერი უფლების საფუძველზე ან უკანონოდ; ან თავშესაფრის მაძიებლებს. არადა, ადვოკატურის მიზნებით, მნიშვნელოვანია როგორც მიგრანტთა ამ ორი კატეგორიის გამიჯვნა, ასევე გამიჯვნა მათ წინაშე მდგარი პრობლემებისა, ისევე, როგორც იმ პრობლემებისა, რომლებიც ამ მიგრანტებმა შეიძლება წარმოშვან.

თავისუფალი მიმოსვლის მხარდამჭერი პოლიტიკის ადვოკატურას ევროკავშირში და მის ფარგლებს გარეთ არსებული საზოგადოებრივი ორგანიზაციები ახორციელებენ. მათი ამოცანა არა მხოლოდ უკვე შემუშავებული წინადადებების ირგვლივ კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღება, არამედ მიგრაციასთან დაკავშირებით უფრო ზოგად საკითხებზე რეაგირებაა – ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციების პროგნოზირება და დარეგულირება, არსებული პოლიტიკის გავლენის თვალყურის დევნება, პოტენციური დემოგრაფიული და პოლიტიკური განვითარების პროგნოზირება და დებატებში ახალი საკითხების გამოკვეთა. ვინაიდან არასამთავრობო ორგანიზაციათა უმთავრესი კომპეტენცია კონკრეტული ჯგუფების (ვიზის მიღების მსურველთა, მიგრანტთა, დაცალკევებული ოჯახების, თავშესაფრის მაძიებლების) ინტერესებზე ზრუნვაა, მათ ძალისხმევა არ უნდა დაიშურონ, რათა შესაბამისმა გზავნილმა ხმამაღლა და ნათლად გაიჟღეროს. ამის მისაღწევად აუცილებელია, ისინი ინფორმირებული იყვნენ იმ გზების შესახებ, რომლებითაც ევროკავშირის კანონმდებლობა და წევრი ქვეყნების საიმიგრაციო რეჟიმები არეგულირებენ სავიზო პოლიტიკასა და ქვეყანაში შესვლის პირობებს.

წინამდებარე პუბლიკაციის მიზანია, მიაწოდოს ანალიტიკურ ჯგუფებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და პოლიტიკის საკითხებზე მომუშავე საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ინფორმაცია სამართლებრივი ინსტიტუტებისა და ჩარჩო-პოლიტიკის შესახებ მიგრაციასთან და ვიზების საკითხთან დაკავშირებით (**ნაწილი I**). ამ მიმოხილვას თან მოსდევს ევროკავშირის თითოეული ჩართული ინსტიტუტის, ისევე როგორც ევროკაშირის აღმოსავლეთ პარტნიორების წევრი სახელმწიფოებისა და მთავრობების როლისა და გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების შეფასება (**ნაწილი II**). და ბოლოს,

მოცემულია რეკომენდაციები წინა წლებში გატარებული ადვოკატურული ძალისხმევის შედეგად დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე – ყველაზე ხელსაყრელი „შესვლის პუნქტების“ შესახებ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან დასაკავშირებლად და საზოგადოებრივ დებატებზე გავლენის მოსახდენად. ყოველივე აღნიშნული გამიზნულია არა მხოლოდ სახელმწიფოსა და ევროკავშირის ინსტიტუტების, არამედ, ასევე, მედიისა და საზოგადოების ჩართვისთვის (**ნაწილი III**).

წინამდებარე პუბლიკაცია წარმოადგენს დამატებით წაწილს PASOS-ის პუბლიკისა „სწორი მიდგომა ევროპასთან. ადვოკატირების სახელმძღვანელო სამოქალაქო საზოგადოებისთვის: მიგრაციისა და სავიზო პოლიტიკის სფეროებში ევროკავშირის პოლიტიკის გასააზრებლად და მასზე ზემოქმედების მოსახდენად“<sup>42</sup>, რომელიც ზოგადად მიმოიხილავს ევროკავშირის პოლიტიკას და მისი წარმოების პროცესებს და მკითხველს სთავაზობს ზოგად სახელმძღვანელო მითითებებს ევროკავშირის დონეზე ეფექტური ადვოკატურისთვის. „გზა ლია ევროპისკენ“ კი, ფოკუსირებულია რა კონკრეტულ პოლიტიკურ საკითხებზე, ჩაფიქრებულია, როგორც ევროკავშირის მმართველობის რთული და კომპლექსური არეალის გზამკვლევი სავიზო და მიგრაციის პოლიტიკის სფეროში და გამიზნულია აღნიშნულ სფეროში არსებული გამოწვევების ფონზე, უფრო ნაყოფიერი, ფოკუსირებული და მიზანმიმართული ჩართულობის ხელშეწყობისთვის.

---

2. T. Hořejšová, P. Kaźmierkiewicz, J. Lovitt, V. Řiháčková. *The Right Approach to Europe. An Advocacy Handbook for Civil Society: Understanding and Influencing EU Policymaking* (ტ. ჰორეიშოვა, პ. კაჟმიერკევიჩი, ჯ. ლოვიტი, ვ. რიჰაჟკოვა, სწორი მიდგომა ევროპასთან. ადვოკატირების სახელმძღვანელო სამოქალაქო საზოგადოებისთვის: ევროკავშირის პოლიტიკის გააზრება და მასზე გავლენის მოხდენა), PASOS, პრაღა, ჩეხეთის რესპუბლიკა, 2012 წ., ISBN 978-80-905105-3-1, გვ. 61-63

# ნაცილი |

## მიზრაციის და სავიზო პოლიტიკის მიმღებლება: რა დევს სასწორზე?

### (i) მიზრაციის და სავიზო პოლიტიკის საშენი აგურები

ევროკავშირის წევრი ქვეყნების თანამშრომლობა სასამართლო და შინაგან საქმეთა სფეროებში მთავრობათაშორისი პროცესის სახით 1970-იანი წლების შუა სანებში დაიწყო, რიგ წევრ ქვეყანაში მომხდარ ტერორისტულ თავდასხმათა საპასუხოდ. შინაგან საქმეთა და ოუსტიციის მინისტრების შეხვედრების შედეგად, ჩამოყალიბდა TREVII-ს ჯგუფი<sup>3</sup>, რომელიც ფუნქციონირებდა რამდენიმე დონეზე – მინისტრების დონიდან ექსპერტთა დონემდე. ჯგუფი დახურულ კარს მიღმა მუშაობდა; მის ფუნქციონირებაში არ მონაწილეობდნენ არც ევროპარლამენტი.

ჯგუფის მუშაობის თავდაპირველი ფოკუსი ანტიტერორისტული ზომების შემუშავება იყო, მაგრამ 1980-იან წლებში, უსაფრთხოების საკითხის მნიშვნელობის გამოკვეთასთან ერთად, რაც გამოიხატა საზოგადოებრვი წესრიგის დარღვევით (საფეხბურთო სტადიონებზე ხულიგნობის შემთხვევები), ორგანიზებული დანაშაულის, ნაკონტიკებისა და იარაღის უკანონო გადატანის მაჩვენებლების ზრდით და ასევე, ბირთვული უსაფრთხოების ზრდადი მნიშვნელოვნობით, ჯგუფის მუშაობა გაღრმავდა და მას ახალი სფეროები დაემატა.

---

3. TREVII-ს ჯგუფის სახელი მომდინარეობს ცნობილი შადრევნის სახელწოდებიდან, რომელიც მდებარეობს იტალიის დადაქლაქ რომში, სადაც შედგა ევროპის საბჭოს სამიტი 1975 წლის 1-2 დეკემბერს. სამიტზე შექმნილ ჯგუფში გაერთიანდნენ შინაგან საქმეთა და ოუსტიციის სამინისტროს იფიციალური ნარმომადენლები. 1993 წელს მაასტრიხტის ხელშეკრულების ძალაში შესვლასთან ერთად TREVII-ს ჯგუფი გაერთიანდა ევროკავშირის ოუსტიციისა და შინაგან საქმეთა განყოფილებაში.

აღსანიშნავია, რომ TREVI-ს ჯგუფის პარალელურად განვითარდა მოძრაობა „მშრომელთა გადაადგილების თავისუფლებისთვის“. ეს თავისუფლება იყო ერთ-ერთი იმ ოთხი ძირითადი თავისუფლებისგან (საქონლის, მომსახურების, კაპიტალის და სამუშაო ძალის თავისუფალი გადაადგილება), რომელიც განმტკიცდა 1957 წელს მიღებული რომის ხელშეკრულებით, რომლის საფუძველზეც ამავე წელს დაარსდა ევროკავშირის წინამორბედი – ევროპის ეკონომიკური გაერთიანება. ხელშეკრულების 45-ე მუხლის მიხედვით გაერთიანებამ აიღო ვალდებულება, დაეცავა მშრომელთა თავისუფალი გადაადგილების უფლება მოქალაქეობის განურჩევლად, აღკვეთდა რა, მოქალაქეობის ნიშნით, ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას.

ამ თავისუფლების მასშტაბი უფრო მეტად გაცხადდა და გაფართოვდა როგორც ევროპის სასამართლოს თანამდევი გადაწყვეტილებებით, ასევე ევროკავშირის დირექტივებითა და რეგულაციებით, რასაც შედეგად მოჰყვა ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეთათვის ნებისმიერ წევრ ქვეყანაში გადაადგილების, პინადრობისა და მუშაობის თავისუფლების განმტკიცება.

1992 წლის მასტრიხტის ხელშეკრულების (ევროკავშირის ხელშეკრულების) ხელმოწერის შედეგად შემოიღეს ევროკავშირის მოქალაქეობის ცნება, რომელთანაც ერთად დაუფანდა ევროკავშირის ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილებისა და პინადრობის უფლება. გარდა ამისა, ევროკავშირის მოქალაქებმა შეიძინეს ევროკავშირის წევრი ქვეყნების კავშირის ფარგლებს გარეთ არსებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა საკონსულო სამსახურების მიერ დაცვის უფლება.

ევროკავშირის ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილების, პინადრობისა და მუშაობის უფლება დეტალურად აღნირილია ევროკავშირის დირექტივაში 2004/38/EC<sup>4</sup>, რომელიც სამი არაევროპული ქვეყნის (ისლანდია, ლიხტენშტეინი და ნორვეგია) მოქალაქეებზეც ვრცელდება. დირექტივის მიხედვით, ევროპის ეკონომიკური სივრცის (ევროკავშირი და აღნიშნული სამი ქვეყანა) ყველა მოქალაქეს და მათ უშუალო ოჯახის წევრებს (მეუღლეებს, რეგისტრირებულ

4. ევროპარლამენტისა და ეკონისაბჭოს 2004 წლის 29 აპრილის დირექტივა 2004/38/EC, კავშირის მოქალაქეებისა და მათი ოჯახის წევრების წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილებისა და პინადრობის უფლება. იხ. ბმული:

<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2004:158:0077:0123:en:PDF>

პარტნიორებს ან მათ კმაყოფაზე მყოფ პირებს, რომლებიც არ წარმოადგენენ ევროპის ეკონომიკური სივრცის მოქალაქეებს) აქვთ ევროპის ეკონომიკური სივრცის წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე შეუზღუდვად შესვლისა და ბინადრობის უფლება. ერთადერთი პირობა, რომელიც ამ მოქალაქეებმა (გარდა დაქირავებული მუშავებისა, თვითდასაქმებულებისა, სტუდენტებისა ან თანმხლები ოჯახის წევრებისა) უნდა დააკმაყოფილონ არის ის, რომ ისინი უნდა იყვნენ ფინანსურად დამოუკიდებლები, ჰქონდეთ ჯანმრთელობის დაზღვევა და არ წარმოადგენდნენ არაადეკვატურად მძიმე ტვირთს თავიანთი ბინადრობის ქვეყნისათვის. ევროკავშირის კანონმდებლობა ამ უფლებასთან მიმართებით მხოლოდ მცირეოდენ შეზღუდვებს ითვალისწინებს.

საერთო ბაზრის იდეის ხორციელების მიზნით, აუცილებელი გახდა გარევეული ბარიერების მოხსნა საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და ადამიანების თავისუფალ გადაადგილებაზე. 1984 წელს საფრანგეთი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა შეთანხმდნენ თავიანთ საზღვრებზე კონტროლის მოხსნაზე; ერთი წლის შემდეგ მათ სამი მომდევნო ქვეყანა – ბელგია, ლუქსემბურგი და ნიდერლანდი – შეუერთდა, რაც ოფიციალურად გაფორმდა ლუქსემბურგის ქალაქ შენგენში, რის შედეგადაც ეს ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ ეტაპობრივად გააუქმდნენ კონტროლს თავიანთ საზღვრებზეც. 1990 წელს ამ ხუთმა სახელმწიფომ გააფორმა შენგენის ხელშეკრულება, რომლითაც შემოიდეს წესები ვიზების გაცემის, პოლიციისა და სასამართლოს სფეროში თანამშრომლობის შესახებ.

თავდაპირველად, შენგენის ხელშეკრულებით განსაზღვრული თანამშრომლობა განვითარდა ევროკავშირის ფორმატს გარეთ, როგორც მთავრობათაშორისი ინიციატივა. 1999 წელს ამსტერდამის ხელშეკრულების ძალაში შესვლასთან ერთად შენგენის ყველა რეგულაცია ავტომატურად ევროკავშირის რეგულაციად გარდაიქმნა. 2012 წლის მეორე ნახევრისთვის შენგენის სივრცე ევროკავშირის წევრ 22 ქვეყანას და ოთხ არაწევრ ქვეყანას (ისლანდია, ნორვეგია, შვეიცარია და ლიხტენშტეინი) ითვლიდა; რაც ნიშნავს 400 მილიონზე მეტი მაცხოვრებლის 4.3 მილიონ კვადრატულ კილომეტრზე მეტ ტერიტორიაზე<sup>5</sup> თავისუფლად გადაადგილების უფლებას.

5. ევროპის სამმა მიკროსახელმწიფომ (მონაკო, სან მარინო და ვატიკანი) გახსნა საზღვრები შენგენის სივრცის ქვეყნებთან; თუმცა ეს სიახლე არ ასახულა მათ საზღვრებზე ანდორასთან. ევროკავშირის წევრი ქვეყნების გარკვეული ტერიტორიები (უმეტესად, ევროპის გარეთ არსებული) არ წარმოადგენს შენგენის სივრცის ნაწილს.

სავარაუდოდ, შენგენის ხელშეკრულებას ევროკავშირის მომდევნო სამი წევრი სახელმწიფო შეუერთდება (თუმცა, ბულგარეთის და რუმინეთის განევრიანება მოსალოდნელი არა 2012 წლის სექტემბრამდე, რატიფიცირების პროცედურის გადადების გამო ევროპის საბჭოს<sup>6</sup> მიერ, ხოლო კვიპროსის რესპუბლიკის საკითხი, სავარაუდოდ, გადაწყდება კვიპროსის ირგვლივ არსებული უთანხმოების მოგვარების შემდგომ); ორმა წევრმა სახელმწიფომ (დიდმა ბრიტანეთმა და ორლანდიამ) უარი თქვა შენგენის თავისუფალ სასაზღვრო სივრცეში განევრიანებაზე, შესაბამისად, ისინი ინარჩუნებენ არსებულ სასაზღვრო კონტროლის სისტემას და აქვთ დამოუკიდებელი სავიზო პოლიტიკა<sup>7</sup>.

შენგენის სივრცეში მგზავრებისთვის ყველაზე თვალსაჩინო ცვლილება სასაზღვრო-გამშვები პუნქტების აღყბა და ერთი წევრი ქვეყნიდან მეორეში სახელეთო საზღვრის გადაკვეთით შესვლისას პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების შემოწმების გაუქმებაა. მესაზღვრები ახორციელებენ მგზავრთა შემოწმებას უსაფრთხოების კონტროლის მიზნით მხოლოდ საზღვაო პორტებსა და აეროპორტებში; თუმცა, ეს უკანასკნელი არ ითვლება ოფიციალურ სასაზღვრო კონტროლად.

თუმცა, ამავდროულად, შიდა საზღვრებზე სასაზღვრო-გამშვები პუნქტების გაუქმებას თან მოჰყავა კონტროლის გაძლიერება შენგენის სივრცის გარე საზღვრებზე. შენგენის სასაზღვრო კოდექსის<sup>8</sup> თანახმად, შემოწმება

6. იგულისხმება არა ევროკავშირის საბჭო, არამედ ევროპის საბჭო, რომელიც წარმოადგენს წევრი ქვეყნების მეთაურების (პრემიერ-მინისტრების ან პრეზიდენტების) სამიტს, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრების ხელშეწყობით მიმდინარეობს.

7. იგულისხმება კვიპროსის მიმდინარე ტერიტორიული დანანილება კვიპროსის რესპუბლიკასა და ჩრდილოეთ კვიპროსის თურქულ რესპუბლიკას შორის, რომელიც წარმოადგენს თვითმმრთველობის პრინციპით მოქმედ ურთეულს და რომელიც არ არის აღარებული საერთაშორისო თანამეგობრობის არც ერთი ქვეყნის მიერ, თურქეთის გარდა.

8. აღნიშნულ ორ არანევრ სახელმწიფოს უფლება აქვს, ჩაერთოს თანამშრომლობის გარკვეულ სფეროებში, ევროკავშირის საბჭოს მიერ მათი შესაბამისი განაცხადის დამტკიცების შემდგრა. ასე მაგალითად, დიდი ბრიტანეთი თანამშრომლობს ევროკავშირის ქვეყნებთან პოლიციისა და სასამართლოს სფეროებში (ნაიოლი III) 2005 წლიდან, ხოლო ირლანდის შესაბამისი განაცხადი დამტკიცდა საბჭოს მიერ და რატიფიცირების მოლოდინშია.

9. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 15 მარტის რეგულაცია №562/2006, რომლის საფუძველზე მიღებულ იქნა კოდექსი აღმანების მიერ საზღვრების გადაკვეთის წესების შესახებ <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2006:105:0001:0032:EN:PDF>

არ ტარდება უნიფიცირებული სახით – პირები, რომლებიც სარგებლობენ შენგენის ზონაში თავისუფალი გადაადგილების უფლებით (ევროკავშირისა და ევროპის ეკონომიკური სივრცის წევრი ქვეყნების მოქალაქეები და მათი ოჯახის წევრები) ექვემდებარებიან წაკლებად ინტენსიურ „მინიმალურ შემოწმებას“, მაშინ, როდესაც სხვების მიმართ გამოიყენება „დეტალური შემოწმების“ პროცედურა. მინიმალური პროცედურა, ჩვეულებრივ, დაიყვანება სამგზავრო დოკუმენტების „სწრაფ“ და „მარტივ“ ვიზუალურ შემოწმებამდე და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში გულისხმობს მონაცემთა ბაზებში გადამოწმებას, რომლებშიც მოცემულია ინფორმაცია იმ პირთა შესახებ, რომლებიც წარმოადგენენ საფრთხეს შიდა უსაფრთხოების, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ან საზოგადოებრივი წესრიგისთვის.

ამის საპირისპიროდ, დეტალური შემოწმება შეიცავს არა ერთ, არამედ ცხრა სავალდებულო ელემენტს შენგენის სივრცეში შესვლისას და ექვს ელემენტს გამოსვლისას. ამ ჩალრმავებული პროცედურის მიხედვით მესაზღვრეები ამონტებენ სამგზავრო დოკუმენტების ნამდგოლობას; ამონტებენ, აქვს თუშარა ვიზა მესამე ქვეყნის მოქალაქეს —შესაბამისია აუცილებლობის შემთხვევაში, რამდენად ასაბუთებს შენგენის სივრცეში დაგეგმილი მგზავრობის და ყოფილის მიზანს; და აქვს თუ არა ამისთვის აუცილებელი ფინანსური სახსრები. მონძღვება ასევე, ხომ არ არის სამგზავრო დოკუმენტები გაყალბებული და ხომ არ არის მოცემული პიროვნება შეყვანილი შენგენის სივრცის საინფორმაციო სისტემაში (SIS).

1990-იანი წლებიდან ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა კოორდინირებული სავიზო პოლიტიკის გატარება წამოიწყეს. საბჭოს თავდაპირველ რეგულაციაში დაკონკრეტდა ქვეყნები, რომელთა მოქალაქეები საჭიროებდნენ ვიზას ევროკავშირის გარე საზღვრების გადასაკვთად. აღნიშნული რეგულაცია ჩანაცვლდა და საბჭოს მომდევნო რეგულაციით 539/2001, რომლის მიხედვითაც დაწესდა „შავი სიის“ (დანართი I) და „თეთრი სიის“ (დანართი II)<sup>10</sup> ცნებები. რეგულაცია აყალიბებს ევროკავშირის ერთიანი სავიზო პოლიტიკის საფუძველს; ამდენად,

10. საბჭოს 2001 წლის 15 მარტის რეგულაცია № 539/2001, რომელშიც მითითებულია ქვეყნები, რომელთა მოქალაქეებს ესაჭიროებათ ავიზა ევროკავშირის გარე საზღვრების გადსაკვთად და ქვეყნები, რომელთა მოქალაქეები გათავისულებული არიან ამ ვალდებულებისგან. ინ.ბმულ: <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CONSLEG:2001R0539:20070119:E> N:PDF

ნებისმიერი ცვლილების შეტანას ესაჭიროება ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილება; ხოლო 2009 წლის დეკემბერში – ლისაბონის ხელშეკრულების<sup>11</sup> ძალაში შესვლასთან ერთად – ევროპარლამენტის გადაწყვეტილებაც.

ამჟამად, დანართში I მითითებულია 125 სახელმწიფო და ტერიტორია, რომელთა მოქალაქეებს ევროკავშირში შესასვლელად ესაჭიროებათ მოკლევადიანი ვიზა. აღნიშნული ეხება რუსეთის, აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსი ქვეყნის (აზერაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი და უკრაინა) და ცენტრალური აზიის ყოფილი საბჭოთა ქვეყნების (თურქეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი და ყირგიზეთი) მოქალაქეებს, ასევე კოსოვოს და ჩრდილოეთ კვიპროსის პასპორტების მფლობელებს და ყველა აფრიკული სახელმწიფოს (მარკიკის გარდა) მოქალაქეებს, აზიის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფოთა უმრავლესობის მოქალაქეებს (ბრუნეის, მალაზიის, კორეის რესპუბლიკის, იაპონიის, ტაივანის, მაკაოს და ჰონგკონგის გარდა) და ლათინური ამერიკის სახელმწიფოთა მოქალაქეებს (არგენტინის, ბრაზილიის, ვენესუელას, პარაგვაის, ურუგვაის, ჩილეს და ცენტრალური ამერიკის ზოგი შტატის გარდა)<sup>12</sup>.

მეორე მხრივ, დანართში II მოცემულია „თეთრი სია“, რომელშიც მითითებულია 42 ქვეყანა და ტერიტორია, რომელთა მოქალაქეები გათავისუფლებული არიან ვალდებულებისგან, პქნდეთ მოკლევადიანი ვიზა ევროკავშირში შესვლისას. უკანასკნელი ცვლილების მიხედვით, თეთრ სიაში შეიტანეს ასევე ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია, მონტენეგრო და სერბეთი (2009 წ.), ერთი წლის შემდგომ – ალბანეთი, ბოსნია და ჰერცოგოვინა; ხოლო 2011 წლის იანვარში – ტაივანი.

11. ლისაბონის ხელშეკრულებით, რომელსაც ხელი მოეწერა 2007 წლის 31 დეკემბერს და ძალაში შევიდა 2009 წლის 1 დეკემბერს, შეტანილ იქნა ცლილებები ევროკავშირის კონსტიტუციური საფუძვლის განსაზღვრულ ორ ხელშეკრულებაში – მასატრიჩის ხელშეკრულებაში (რიმლის საფუძველზეც შეემზა ევროკავშირი და რომელიც ცნობილია ევროკავშირის ხელშეკრულების სახელით) და რომის ხელშეკრულებაში (რიმელმაც დააფუძნა ე.წ. ევროპის თანამეგობრობა). ცვლილებები შეეხო კრიტისურის საკითხებს; კერძოდ, თუ ადრე საკითხი უნდა მიღებულიყო ერთბად, მიერიდნ მის დასამტკიცებლად საკმარისის ხმათა კვალიფიცირებული უმრავლესობა და ეს ეხება ევროკავშირის პოლიტიკის რამდენიმე სფეროს. ცვლილებების შედეგად ასევე გაიზარდა ევროპარლამენტის უფლებამოსილება სტანდრტულ საკანონმდებლო პროცედურასთან მიმართებით. იხ. ბმულ: [http://europa.eu/lisbon\\_treaty/full\\_text/](http://europa.eu/lisbon_treaty/full_text/)

12. საბჭოს რეგულაციის №539/2001 დანართი II.

შენგენის სავიზო რეუიმი მოიცავს რამდენიმე ტიპის ვიზას, როგორიცაა A ტიპის ვიზა (აეროპორტის ტრანზიტი), B ტიპის ვიზა (ზოგადად, ტრანზიტი) და D ტიპის ვიზა (გრძელვადიანი ვიზა). ყველაზე ხშირად გამოიყენება C ტიპის ვიზა, რომელიც წარმოადგენს მოკლევადიან ვიზას და რომელიც მესამე ქვეყნების მოქალაქეებს ევროკავშირის ტერიტორიაზე შესვლის და 180-დღიან პერიოდში 90 დღით დარჩენის უფლებას აძლევს.<sup>13</sup> მოქალაქეებმა, რომელთაც ესაჭიროებათ აღნიშნული ვიზა, მის მისალებად სტანდარტული წესები უნდა შეასრულონ, რაც გულისხმობს განაცხადისა და მოთხოვნილი თანდართული დოკუმენტების შეტანას ძირითადი დანიშნულების ქვეყნის (ან, თუ აღნიშნული ქვეყნის განსაზღვრა შეუძლებელია, შენგენის სივრცის საზღვრის მქონე პირები ქვეყნის) საელჩოში ან საკონსულოში. განცხადის ფორმა ყველა ქვეყნისთვის იდენტურია.

შენგენის 2009 წლის სავიზო კოდექსი<sup>14</sup> შეიცავს პროცედურულ გარანტიებს განმცხადებლებისთვის. მუხლი 23 ადგენს განაცხადის განხილვის სტანდარტულ ვადას – 15 დღეს და გამონაკლის შემთხვევებში – 60 დღეს, „თუ საჭიროა დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენა“. მუხლი 32 განსაზღვრავს, რომ უარის შემთხვევებში განმცხადებელს უნდა განემარტოს უარის მიზეზები და რომ მას (განმცხადებელს) „უფლება აქვს, გაასაჩივროს აღნიშნული გადაწყვეტილება“.

აღსანიშნავია, რომ კოდექსი კრძალავს დისკრიმინაციას რასობრივი, სქესობრივი, ეთნიკური, რელიგიური, ასაკობრივი ან სექსუალური ორიენტაციის ნიშნით. გარდა ამისა, კოდექსი ითვალისწინებს, რომ „განმცხადებელთა მიღება ორგანიზებულ უნდა იქნეს ადამიანის ღირსების სრული დაცვით“, ხოლო განაცხადების განხილვა უნდა ჩატარდეს, „პროფესიულად და ადამიანის ღირსების პატივისცემით“, „საუკეთესო ადმინისტრაციული პრაქტიკის“ შესაბამისად<sup>15</sup>.

- 
13. სამიდან თორმეტ თვემდე ყველისთვის საჭიროა გრძელვადიანი ვიზა, რომლის მისალებად თოლიული წევრი სახელმწიფოს ნაციონალური კანონმდებლობა შესაბამის პროცედურებს ითვალისწინებს. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე 12 თვემდე მეტი ხნით ყოფნის შემთხვევაში მესამე ქვეყნის მოქალაქემ უნდა შეიტანოს განაცხადი ბინადრობის ნებართვის ასალებად.
  14. ევროპარლამენტის და საბჭოს 2009 წლის 13 ივნისის რეგულაციის №810/2009 საფუძველზე მიღებულ იქნა თანამეგობრობის კოდექსი ვაზების საკითხში (სავიზო კოდექსი); იხ. პმული: <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2009:243:0001:0058:EN:PDF>

15. სავიზო კოდექსის პრეამბულა.

## (ii) ფართო პოლიტიკური კონტექსტი

ვინაიდან სავიზო პოლიტიკა დაკავშირებულია ევროკავშირის წევრი ქვეყნების პოლიტიკის სხვა სფეროებთან და გადაჯაჭვულია ღირებულებათა სხვადასხვა სისტემასთან, მესამე ქვეყნების მოქალაქეთათვის ევროკავშირის ქვეყნებში შესვლისა და ყოფნის პირობებში ცვლილებების შეტანა იოლი ამოცანა არაა. როგორც შენგენის ხელშეკრულებით განსაზღვრული თანამშრომლობის ისტორია გვიჩვენებს, დამფუძნებელ წევრ ქვეყნებს შორის 1980 და 1990-იან წლებში გაბატონებული მოსაზრება გულისხმობდა, რომ ევროკავშირის შიდა ტერიტორიებზე კონტროლის შემსუბუქება „კომპენსირებული“ უნდა ყოფილიყო გარე საზღვრების გამკაცრებით, შესაძლო საფრთხის შემცველ პირებზე ინფორმაციის შეგროვებითა და ევროკავშირის ტერიტორიაზე პოლიციური ზომების გაძლიერებით.

შენგენის ხელშეკრულებით განსაზღვრული თანამშრომლობის ევროკავშირის ფორმატში მოქცევის შემდეგ ევროკავშირის საბჭომ დაადასტურა აღნიშნული პოზიცია, ხაზი გაუსვა რა „კომპენსატორული ზომების“ მიღების აუცილებლობას, როგორც შიდა საზღვრებზე კონტროლის მოხსნის შედეგად სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის აუცილებელ გარანტიას.

თავისუფალი გადაადგილების პრინციპისადმი ევროკავშირის მიდგომის უსაფრთხოების პარადიგმა მდგომარეობს სავიზო პოლიტიკის გაერთიანებაში იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სფეროში (რომელსაც მოგვიანებით „თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების“ სფერო ეწოდა). აღნიშნული განხორციელდა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არსებული პრაქტიკის კვალდაკვალ, სადაც, ჩვეულებრივ, შინაგან საქმეთა სამინისტროებს წამყვანი როლი ეკისრებათ, ხოლო საგარეო საქმეთა სამინისტროები მათ საჭირო მონაცემებს აწოდებენ.

იმ პირობების საკითხი, რომლებითაც მესამე ქვეყნების მოქალაქეები სარგებლობენ ევროკავშირში შესვლისას და ყოფნისას, ევროკავშირის დონეზე იმთავითვე საგარეო პოლიტიკის საკითხად არ მოიაზრება, არამედ დაკავშირებულია შიდა უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებულ საფრთხეებთან, როგორებიცაა საზღვრის არასაკმარისი დაცულობა, ორგანიზებული

დანაშაული, ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) და თავშესაფრის სისტემების გადატვირთვა. ეს ხედვა ასახულია სავიზო კოდექსშიც, რომელიც ვიზის გა-მცემ უწყებებს უპირველეს ვალიდულებად აკისრებს, დარწმუნდნენ, რომ განმცხადებელი ბოროტად არ გამოიყენებს მხარდაჭერის სისტემებს, არ დარჩება ვიზით განსაზღვრულ ვადაზე მეტ ხანს ან არ დაკავდება საქმიანობით, რისი უფლებაც არ აქვს.

აქცენტი სავიზო პოლიტიკის გამკაცრებაზე უსაფრთხოების კუთხით კიდევ უფრო გამოიკვეთა ევროკავშირის რამდენიმე წევრ ქვეყანაში გამართული შიდა დებატების შედეგად, რომლებსაც შეექმნათ პრობლემები მათ ტერი-ტიორიაზე მცხოვრები სხვადასხვა იმიგრანტი ჯგუფის ინტეგრაციისას ან რომლებსაც თავშესაფრის მოთხოვნით მოულოდნელად ადამიანების დიდმა ჯგუფებმა მიმართეს.

ევროკავშირში სხვა ქვეყნების მოქალაქეთა შესვლის პოლიტიკის კიდევ უფრო გამკაცრების მოთხოვნები გაისმა ევროპული საზოგადოებისთვის შოკისმომგვრელი მოვლენების შემდგომ: კინოექისორ თეო ვან გოგის მკვლელობა ნიდერლანდში 2004 წელს<sup>16</sup>, მასობრივი გამოსვლები სა-ფრანგეთში 2005 წელს<sup>17</sup> და ორგანიზებული დანაშაულებრივი ქსელების მიერ ვიზების გაყალბების შემთხვევები გერმანიასა და დიდ ბრიტანეთ-

16. თეო ვან გოგი სასიკვდილოდ დატრენს ამსტერდამში 2004 წლის 2 ნოემბერს. მკვლელმა მოკლულის სხეულთან 5-გვერდინი ბარათი დატოვა, რომელშიც იმუქრებოდა დასავლეთის ქვეყნების, ებრაელებისა და სომალელ-პოლანდიელი ავტორის აინ პერში ალის მისამრთით, რომლის სცენარის მიხედვით ვან გოგს უნდა გადაელო ფილმი ზოგ ისლამურ საზოგადოებაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ. მკვლელობაზ ქვეყანაში იმიგრაციის წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო ტალღა გამოიწვა და იმ დროისთვის პარლამენტის დამოუკიდებლმა დაუუტარმა გერმანულდერისმა არადასავლეური ქვეყნებიდან იმიგრაციის 5 წლით შეჩერება მიითხოვა. (ზოგიანებით უილდერსი „პარტიას თავისუფლებისთვის“ შეუერთდა, რომელიც ანტისამიგრაციო პლატფორმის გამო 2010 წლის არჩევების შედეგად ნიდერლანდის ნარმო-მადგენელთა პალატის სიდდით მესამე პარტია გახდა).

17. საფრანგეთში 2005 წლის 27 ოქტომბრის ღამით დაწყებულ მასობრივ გამოსვლებში, რომლებიც ნოემბერში გაგრძელდა, ძირითადად მონანილეობდნენ ჩრდილოაფრიკული წარმომამცვლობის ფრანგი ახალგაზრდები; მათ პარაზის გარეუბნებსა და საფრანგეთის სხვა ქალაქებში დაწვეს ავტომანქანები და საზოგადოებრივი შენობები. საფრანგეთის ხელისუფლებამ 2005 წლის 8 ნოემბერს ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა.

ში<sup>18</sup>. იმიგრაციის ხელშეწყობის წინააღმდეგ განწყობილ პოლიტიკოსებს დროდადრო შემოაქვთ სავიზო პოლიტიკის გამკაცრების წინადადებები, როგორც დაბეჯითებითი პასუხი უსაფრთხოების სფეროში არსებულ მს-გავს გამოწვევებზე.

მკვეთრი საგაზეთო სათაურების მიუხედავად, ექსპერტები უარყოფენ რაიმე კავშირს ინტეგრაციის პოლიტიკის ხარვეზებსა და ევროკავშირის ტერიტორიაზე შესვლის ეფექტურ მართვას შორის, ან ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების მიერ სავიზო სისტემების ბოროტად გამოყენებასა და იმას შორის, თუ რამდენად ურთულდება ან პირიქით, უმარტივდება რიგით განმცხადებელს ვიზის მიღება.

გავრცელებული შეხედულების საწინააღმდეგოდ, ვიზები არ წარმოადგენს ეფექტურ საშუალებას არარეგულარულ მიგრანტთა შემოსვლის აღსაკვეთად, რომელთა მზარდი რაოდენობა რჩება დანიშნულების ქვეყანაში, კანონიერი გზით მიღებული ვიზით ან ბინადრობის ნებართვით განსაზღვრულ ვადაზე მეტ ხასს. მიგრანტთა გადაადგილების ხელშემწყობი ფაქტორები მდგომარეობს მეტი ეკონომიკური შესაძლებლობების, ისევე როგორც ლინგვისტური და კულტურული კავშირების არსებობაში (მაგ., კავშირი ყოფილ კოლონიზაციონურ სახელმწიფოებსა და მათ ყოფილ კოლონიებს შორის), ასევე მხარდაჭერი ეთნიკური დიასპორის არსებობასა და თავშესაფრის მიღების პირობებში.

მეტიც, ევროკავშირის სავიზო პოლიტიკა შორსაა ჰარმონიზებისგან, ასახავს რა წევრი ქვეყნების სრულიად განსხვავებულ ინტერესებს. ეს ნათელი ხდება სავიზო განაცხადებზე დადებითი და უარყოფითი პასუხების მაჩვენებლების პირობებში.

18. 2010 წლის ასწავლიში დღიდ ბრიტანეთის ხელისუფლების შემჩერა პანგლადეზიდნ, ინდოეთიდან და ნებალიდან სტუდენტური ვიზების მოქმედება მას შემდეგ, რაც 2009 წლის ბოლო მეოთხე-დში სტუდენტური სავიზო განაცხადების რაოდენობა რვაჯერ გაიზარდა. იხ. ვ. ლამბონტი, „დღიმა ბრიტანეთმა შემჩერა სტუდენტური ვიზები თაღლითობის აღსაკვეთად“, ფაინანსულ თამაში, 2010 წლის 31 იანვარი. გვრმანისა მთავრობაზ 2010 წლს რამდენმე საკონსულოში ვიზების გაყალბებისა და კორსუფის ფაქტების დადგენის შედეგად 2011 წლის 25 მაისს ვიზების გაყალბების მონაცემთა ბაზა შექმნა. იხ. „გვრმანის ქრისტინა მონაცემთა ბაზას ვიზების გაყალბების ფაქტების გამო“, ევროპის საბჭოო ყოველკაირული გამოცემა, 2011 წლის 1 ივნის, აღმოსავლეთ კვლევების ცენტრი, ვარშავა, იხ. ბმული: <http://www.osw.waw.pl/en/publikacje/ceweekly/2011-06-01/germany-to-create-a-visa-abuse-database>

ანალიზის შედეგად, 2011 წელს იტალიამ უარი განაცხადა საქართველოს მოქალაქეთა მოკლევადიანი სავიზო განაცხადების 5%-ის შემთხვევაში, გერმანიამ – 11%-ის შემთხვევაში, ხოლო ნიდერლანდმა საქართველოს მოქალაქეთა 27%-ს განუცხადა უარი ვიზის გაცემაზე<sup>19</sup>. აშკარაა, რომ წევრ ქვეყნებს განსხვავებული მიდგომა აქვთ სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეების მიმართ და შესაბამისად, განაცხადების განხილვის მათი პროცედურებიც განსხვავდება.

ტრადიციულად, ევროკავშირის ქვეყნები ინარჩუნებენ ქვეყანაში შესვლისა და ბინადრობის გამარტივებულ პროცედურებს იმ ქვეყნების მოქალაქეებისთვის, რომლებთანაც მათ ისტორიული კავშირები აქვთ. ევროკავშირის კანონმდებლობა წევრ ქვეყნებს უტოვებს პრეროგატივას, თავად განსაზღვრონ ამ პირებისთვის ქვეყნის შიდა შრომის ბაზრის წედომის პირობები, სასტიპენდიორ პროგრამები სტუდენტებისთვის და ბინადრობის სტატუსის მიღების პირობები, რომლებიც ზოგ შემთხვევებში გამარტივებულია ადგილობრივი ენის კარგი ცოდნის ან ადგილობრივ კულტურასთან დაახლოების ფაქტორების გამო.

შრომის ბაზარზე არსებული კვოტების, კონკრეტული ეთნიკური წარმომავლობის მქონე უცხოელთათვის ბარათების გაცემისა და მოსაზღვრე რეგიონების მაცხოვრებელთათვის გრძელვადიანი ვიზების გაცემის პრაქტიკის შედეგად მესამე ქვეყნების მოქალაქეთა მნიშვნელოვანი რაოდენობის ჯგუფები გათავსუფლდნენ შენგენის ვიზების მისაღებად სტანდარტული პროცედურების გავლის ვალდებულებისგან. შედეგად, მგზავრთა მნიშვნელოვან რაოდენობას აქვს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში შესვლისა და ბინადრობის თაობაზე კონკრეტული ქვეყნის მიერ მიღებულ ადგილობრივ გადაწყვეტილებათა დასაბუთებული მოლოდინი.

წევრი ქვეყნების მიერ განსხვავებულ მიდგომათა მომდევნო მტკიცებულება არანევრი ქვეყნების ტერიტორიებზე საკონსულოებისა და განაცხადების განხილვის ცენტრების არათანაბარი განაწილებაა. ევროკავშირის მსხვილ წევრ ქვეყნებს შეუძლიათ გახსნან საკონსულოები იმ ქვეყნების რეგიონებში,

19. გენერალური დირექტორატი – შინაგან საქმეთა განყოფილება, ევროკომისია, ვიზების გაცემის სტატისტიკა, 2011 წ. ის ბმული: [http://ec.europa.eu/home-affairs/policies/borders/\\_visa\\_en.htm](http://ec.europa.eu/home-affairs/policies/borders/_visa_en.htm).

საიდანაც მიგრანტები დიდი რაოდენობით გადაადგილდებიან: აღნიშნულის კარგი მაგალითია პოლონეთი, რომელსაც მეზობელ უკრაინაში შვიდი საკონსულო აქვს და დამატებით, ქვეყნის მასშტაბით ხსნის საკონსულო სამსახურებს. ამგვარი პოლიტიკა ვიზებს უფრო ხელმისაწვდომს ხდის მოშორებული რეგიონების მაცხოვრებელთათვის, ამცირებს რა ტრანსპორტირების ხარჯებს, რაც, შესაძლოა, აღმატებოდეს კიდეც თავად მოკლევადიანი ვიზის საფასურს. ზოგადად, ვიზის ღირებულება 60 ევრო; ხოლო 35 ევრო იმ ქვეყნებისთვის, რომლებთანაც ევროკავშირს ვიზის ფასილიტაციის შესახებ ხელშეკრულება აქვს დადებული – მოლდოვა, საქართველო, უკრაინა და რუსეთი.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ადგილზე ჩატარებულმა შეფასებებმა ცხადყო, რომ შენგენის ვიზების მიღების პირობები განსხვავდება წევრი ქვეყნების საკონსულოთა მიხედვით, რაც განაპირობებს განმცხადებელთა მოზიდვას იმ საკონსულოებში, რომლებიც მათ ნაკლებ პრაქტიკულ ბარიერებს უქმნიან.

საუკეთესო პრაქტიკა გულისხმობს: განაცხადის განხილვის მოკლე დროს, საბუთების ჩასაბარებლად გასაუბრებაზე ონლაინ რეგისტრაციას, ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებას განმცხადებლისთვის მის მშობლიურ ენაზე და თანმიმდევრულ მოთხოვნებს, რათა ამ უკანასკნელმა დაასაბუთოს დაგეგმილი მოგზაურობის მიზნი და დაადასტუროს, რომ აქვს მგზავრობისთვის საჭირო ფინანსური საშუალებები. განაცხადების უფექტური მართვა საშუალებას აძლევს საკონსულოებს, მიიღონ განაცხადების მეტი რაოდენობა და შეინარჩუნონ განხილვის მოკლე ვადები. ამგვარი „განმცხადებელთა მიმართ მეგობრული“ პრაქტიკა ხშირად ასახავს წევრი ქვეყნების ნაციონალურ პოლიტიკას, რომელიც, უსაფრთხოებასთან ერთად, აქცენტებს სხვა პრიორიტეტებზეც აკეთებს, როგორებიცაა ადამიანებს შორის კონტაქტები, დემოკრატიული ფასეულობების პროპაგანდა, ეკონომიკური გაცვლა და ასევე, ქვეყნის ღია და მეგობრული იმიჯის შექმნის ხელშეწყობა.

ვიზების გაცემის უფრო ლიბერალური მიდგომა დამახასიათებელია ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის, რომლებიც ევროკავშირს 2004 და 2007 წლებში შეუერთდნენ. ახალი წევრები, როგორიცაა ბალტიისპირეთის ქვეყნები, პოლონეთი, უნგრეთი და რუმინეთი, ასევე შვარს უჭერენ სავიზო პროცედუ-

რეპის გამარტივებას ევროკავშირის მეზობლებისთვის. ისინი მხარს უჭერენ უვიზო მიმოსვლის რეჟიმის დადგენას აღმოსავლეთ პარტნიორბის ინიციატივის მონაწილე ექვსი ქვეყნისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირში ახალი წევრი ქვეყნების გაერთიანებამ, გარკვეული დაბალანსა სავიზო პოლიტიკის უსაფრთხოების დომინანტური პარადიგმა, უვიზო მიმოსვლის მხარდამჭერები ძლიერ წინააღმდეგობას აწყდებიან არსებული რეჟიმის ლიბერალიზაციის მიმართულებით თავიანთი პოზიციების გაუქცერებისას. ფაქტობრივად, ევროკავშირის საკვანძო წევრ ქვეყნებში მიმდინარე შიდა საზოგადოებრივი დებატების მთავარი აქცენტი კვლავ შემზღვდელი პოლიტიკის შენარჩუნებაზე კეთდება. წნები იმდენად ძლიერია, რომ ვიზების საბოლოოდ გაუქმდების მხარდამჭერმა ქვეყნებმაც კი გაამკაცრეს ვიზების გაცემა და კონტროლი საზღვრებზე; რასაც ნათელყოფს სავიზო განაცხადებზე და ქვეყანაში შესვლაზე უარის ფაქტების ზრდა. მაგალითად, პოლონეთის საზღვრის გადაკვეთის მსურველთათვის უარის თქმის მაჩვენებელი 2008-2009 წლებში 60%-ით გაიზარდა (მაშინ, რდესაც ეს მაჩვენებელი ევროკავშირის/ევროპის ეკონომიკური სივრცის საზღლუებზე იმავე პერიოდში 21%-ით შემცირდა)<sup>20</sup>.

---

20. ევროსტატი.

## ნაცილი ॥

# მიზრაცისა და სავიზო პოლიტიკის მმართველობა: ვინ იღებს გადაწყვეტილებებს?

### (i) ნევრი ქვეყნები

ლისაბონის ხელშეკრულებამ, რომელიც ძალაში 2009 წლის 1 დეკემბერს შევიდა, მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა მართლმსაჯულებისა და საშინაო საქმეების სფეროში. ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება გამოიხატა გადაწყვეტილების მიღების პროცედურის ცვლილებაში რიგ საკითხებთან მიმართებით. მათინ, როდესაც ევროკავშირის საბჭოში (რომელიც მოიხსენიება აგრეთვე „საბჭოს“ სახელწოდებით) პროცედურულად გადაწყვეტილება ერთხმად და ევროპარლამენტთან მხოლოდ ზოგადი კონსულტაციების შედეგად უნდა მიღებულიყო, ამიერიდან საბჭო გადაწყვეტილებებს კვალიფიცირებული უმრავლესობის ხმათა საფუძველზე, „სტანდარტული საკანონმდებლო პროცედურის“ თანახმად იღებს. აღნიშნული პროცედურის მიხედვით, საბჭო და ევროპარლამენტი თანამონაწილეობის პრინციპზე, თანაბარი ხმის უფლებით იღებენ გადაწყვეტილებებს. სავიზო პოლიტიკა შემუშავდა კვალიფიცირებული უმრავლესობის მიერ ლისაბონის ხელშეკრულების მიღებამდეც, მაგრამ აღრინდელი პროცედურების თანახმად პარლამენტთან თანამშრომლობა მხოლოდ კონსულტაციურ ხასიათს ატარებდა მათინ, როდესაც ცვლილებების შედეგად ევროპარლამენტი და საბჭო თანაბარი ძალის მქონენი არიან გადაწყვეტილების მიღებისას. ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია, ვინაიდან პარლამენტი, ზოგადად, მხარს უჭერს მესამე ქვეყნებთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციას.

ამ ცვლილებების მიუხედავად, ევროკავშირის წევრი ქვეყნები კვლავ ცენტრალურ როლს თამაშობენ მართლმსაჯულებისა და საშინაო საქმეების სფეროს მიმართულებათა განსაზღვრაში. ქვეყანაში შესვლის და ბინადრობის შესახებ გადაწყვეტილებები სახელმწიფოს დამოუკიდებლობას-

თან კავშირში მყოფ საკვანძო საკითხებად მოიაზრება და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ამ სუვერენიულ უფლებებს გულმოდგინედ იცავენ. ნაციონალურ მთავრობათა ადმინისტრაციული და პროცედურული სამ-სახურები ცენტრალურ როლს თამაშობენ საერთო სავიზო პოლიტიკის განხორციელებაში და აგრეთვე, იმ პირობების დაწესებაში, რომლებითაც მათ სურთ, არეგულირონ თავიანთ ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის მოქალა-ქეთა შესვლა და რომლებიც განსხვავდება შენგენის თანამშრომლობით განსაზღვრული პროცედურებისგან.

აღნიშნული მუდაენდება შემდეგ ასპექტებში:

- ▶ განაცხადების მიღებასთან, გასაუბრების ჩატარებასთან და შენგენის ვიზის გაცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამუშაო ტარ-დება ევროკავშირის თითოეული წევრი ქვეყნის საკონსულო პერსონა-ლის მიერ. იმ ქვეყნებში, სადაც დაფუძნდა ერთობლივი საკონსულო სამსახურები, აღნიშნული განხორციელდა კონკრეტული მასპინძელი ქვეყნის მთავრობის ინიციატივისა და თანხმობის საფუძველზე. საგუ-ლისხმოა, რომ წევრ ქვეყნებს შორის შეიძლება აღმოვაჩინოთ მნიშვ-ნელოვანი განსხვავება სავიზო კოდექსის მოთხოვნათა ინტერპრეტი-რებაში განმცხადებლებთან მიმართებით (იგულისსმება დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნა); შესაბამისად, ვიზაზე უარის თქმის მაჩვე-ნებლები განსხვავდება ევროკავშირის წევრი ქვეყნების საკონსულოთა მიხედვით;
- ▶ ევროკავშირის გარე საზღვრების დაცვას ნაციონალური სამსახურები ახორციელებენ. აღნიშნული სამსახურების წარმომადგენლების მიერ შენ-გენის მოქმედი ვიზის მფლობელებისთვისაც კი უარის თქმა ქვეყანაში შესვლაზე – იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი არ აკმაყოფილებენ ქვეყანაში შესვლისა და ბინადობისთვის განსაზღვრულ ყველა პირობას – მათი დისკრეციული უფლებამოსილებაა;
- ▶ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ინარჩუნებენ ექსკლუზიურ უფლება-მოსილებას, გასცენ ვიზები სამ თვეზე მეტი წელის ვადით და ასევე, დააწე-სონ და განახორციელონ პირობები, რომელთა მიხედვით მესამე ქვეყნების

მოქალაქეებს უფლება აქვთ, ისწავლონ, იმუშაონ ან წამოიწყონ საკუთარი ბიზნეს საქმიანობა მათ ტერიტორიაზე;

- და ბოლოს, თავშესაფრის მინიჭების და დაცვის სხვა ფორმების პროცედურები, ისევე, როგორც ინტეგრაციაში ხელშეწყობის მიზნით გამოყოფილი დახმარების ფორმები და მასშტაბი ისაზღვრება და ხორციელდება წევრი ქვეყნების ნაციონალურ და ადგილობრივ ხელისუფლებათა მიერ. განსხვავებულ პოლიტიკას განსხვავებული შედეგები მოაქვს მიგრანტებისთვის, რაც, ადგილობრივ გარემოში მიგრანტთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად, გამოიხატება სოციალურ-ეკონომიკური უსაფრთხოების სხვადასხვა ხარისხისა და განსხვავებული პირობების შექმნაში.

ნაციონალურ და ადგილობრივ ხელისუფლებათა კომპეტენციის არეალში არ-სებულ სფეროებში ევროკავშირმა დააწესა მინიმალური სტანდარტები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ქვეყნები არ შეუქმნიან ადამიანებს დამატებით ბარიერებს იმის გარდა, რაც განსაზღვრულია ევროკავშირის აქტებით, ხოლო, მეორე მხრივ, არ შეამცირებენ ევროკავშირის კანონმდებლობით დაწესებულ გარანტიებს. მსგავსი კანონმდებლობის მაგალითებია ევროკავშირის სავიზო და სასაზღვრო კოდექსი და ასევე, დირექტივები, რომლებიც განსაზღვრავენ წევრი ქვეყნების მიერ მესამე ქვეყნების მოქალაქეებთან დაკავშირებით მიღებულ პროცედურებში იმ ნორმების გათვალისწინებას, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ ხელმისაწვდომობას ძირითადი თავისუფლებებისადმი, გადაადგილების თავისუფლების ჩათვლით.

წევრი ქვეყნები თავიანთ უფლებამოსილებას რამდენიმე დონეზე ახორციელებენ. სახელმწიფოთა ან მთავრობათა მეთაურები ქმნიან ევროპის საბჭოს. ევროპის საბჭოს სხდომებზე ისინი ამტკიცებენ ევროკავშირის პოლიტიკის ზოგად საკითხებს და თანხმდებიან სამოქმედო სტრატეგიებზე. აღიმუშავებით იკრიბება ევროკავშირის 28 წევრი ქვეყნის პრეზიდენტი ან პრე-მიერ-მინისტრი, ევროპის საბჭოს პრეზიდენტი (2012 წელს ეს პოსტი ჰქომან ვან რამპიოს ეკავა), კომისიის პრეზიდენტი (ხოსე მანუელ ბაროზო) და უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში (ქეთრი ეშტონი). ისინი წარმოადგენენ ფორუმს წევრი ქვეყნების ნაციო-

ნალურ პოზიციათა განსახილველად და კონსენსუსის გამოსამუშავებლად ევროკავშირის წინაშე მდგარი სხვადასხვა საკითხის თაობაზე, და ქმნიან ევროკავშირის ინსტიტუტების (კომისიისა და ევროკავშირის საბჭოს) სამუშაო დღის წესრიგს.

რაც შეეხება მართლმსაჯულებას და საშინაო საქმეებს, ევროკავშირის საქმიანობის შესახებ ხელშეერულებაში<sup>21</sup> სპეციალურად აღნიშნულია ევროპის საბჭოს როლი: „ევროპის საბჭო განსაზღვრავს სტრატეგიულ მიმართულებებს საკანონმდებლო და სამოქმედო პოლიტიკის დაგეგმისათვის თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სფეროში“. <sup>22</sup>

ევროკავშირის ლიდერების სამიტები დაზურულ კარს მიღება მიმდინარეობს, მაგრამ მათი შედეგები ქვეყნება და ხელმისაწვდომია სხვადასხვა დაინტერესებული მხარისათვის, მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოებებისთვის როგორც ევროკავშირის ქვეყნებში, ასევე მეზობელ და პარტნიორ სახელმწიფოებში. ვინაიდან წევრი ქვეყნები არ იღებენ კანონებს ევროპის საბჭოს ფორუმზე, ეს ფორუმი წარმოადგენს მნიშვნელოვან რგოლს ევროკავშირის აპარატსა და ინდივიდუალური წევრების მიერ მნიშვნელოვნად მიჩნეულ პოლიტიკურ საკითხებს შორის. ევროკავშირის ინსტიტუტებს შესაძლოა, წევრი ქვეყნების მიერ ეთხოვოთ ახალი ინიციატივების განხორციელება ან საკანონმდებლო საქმიანობების წარმართვა ახალ საკითხებზე რეაგირების მიზნით.

## (ii) ევროპული კავშირის საპარტნერო ერთობლივი საპარტნერო ერთობლივი საპარტნერო (ევროპული კავშირის საპარტნერო ერთობლივი საპარტნერო)

ევროკავშირის საბჭო (მოიხსენიება ასევე, როგორც „საბჭო“) წარმოადგენს გადაწყვეტილების მიმღებ თრგანოს, რომელიც 28 ნაციონალურ მთავრობას წარმოადგენს. საბჭოში თავმოყრილი არიან შესაბამის სამი-

21. ევროპის თანამებრობრობის დაარსების შესახებ მიღებული ხელშეერულების გაერთიანებული ვარიანტი, რომელიც აერთიანებს ევროკავშირის ფუნქციონირების დაწყებიდან დღემდე მიღებულ ყველა ხელშეერულებას.

22. მუხლი 68. n.b. <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:C:2010:083:0047:0200:en:PDF>

ნისტროთა წარმომადგენელი ოფიციალური პირები. წაციონალურ ადმინისტრაციათა წარმომადგენლებისგან დაკომპლექტებულ 200-მდე სამუშაო ჯგუფიდან 19 ჯგუფი დაკავებულია მართლმსაჯულებასა და საშინაო საქმეებთან დაკავშირებული საკითხებით, როგორებიცაა ინტეგრაცია და მიგრაცია, ვიზები, თავშესაფარი, საზღვრები, ტერორიზმი, საბაჟო უწყებათა თანამშრომლობა, სამოქალაქო სამართლის საკითხები, სამოქალაქო დაცვა, ძირითადი უფლებები, ინფორმაციის გაცვლა და მონაცემთა დაცვა, კანონიალირულება, შენგენის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული საკითხები, მართლმსაჯულებისა და საშინაო საქმეების სფეროსთან დაკავშირებული ფინანსური ინსტრუმენტები.

ყველაზე მნიშვნელოვანი კომიტეტია იმიგრაციის, საზღვრებისა და თავშესაფრის საკითხთა სტრატეგიული კომიტეტი (Committee on Immigration, Frontiers and Asylum - SCIFA). კომიტეტი ერთგვარი მოსამზადებელი ორგანოა, რომელიც პასუხისმგებელია სასაზღვრო კონტროლზე, თავშესაფრის სისტემებსა და მიგრაციის პოლიტიკაზე. კომიტეტი ყოველთვიურად ამზადებს მართლმსაჯულებისა და საშინაო საქმეთა საბჭოს დღის წესრიგს. კომიტეტის სხდომები დახურულია და დელეგატებს მათზე დასასწრებად ესაჭიროებათ უსაფრთხოების სამსახურის მიერ გაცემული ნებართვა, რაც ნიშნავს იმას, რომ გარე დაინტერესებულ პირთათვის სხდომების დღის წესრიგისა და მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება შეზღუდულია (ზოჯერ საერთოდ შეუძლებელიც).

უფრო ხელმისაწვდომ ორგანოს, რომელსაც SCIFA-ს დღის წესრიგის წინადადებებს უგზავნის, წარმოადგენს ევროკავშირში მუდმივ წარმომადგენელთა საბჭო – ე.ნ. კოპერერი (COREPER - Committee of Permanent Representatives in the EU), რომელიც იხილავს და ამტკიცებს დღის წესრიგის საკითხებს (საკანონმდებლო ინიციატივებს, ურთიერთობებს მესამე ქვეყნებთან). კოპერერის მუშაობაში მონაწილეობენ წევრი ქვეყნების ბრიუსელში მყოფ მუდმივ წარმომადგენლობათა ხელმძღვანელები ან ხელმძღვანელების მოადგილები. მართლმსაჯულებისა და საშინაო საქმეების საბჭო იკრიბება წელიწადში დაახლოებით ექვსჯერ. აღნიშნული საბჭო წარმოადგენს საბჭოს ათი კონფიგურაციიდან ერთ-ერთს და მასში შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრები მონაწილეობენ.

ვიზებთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი – ვიზის ფასილიტაციით და-წყებული და ლიბერალიზაციით<sup>23</sup> დამთავრებული – თავდაპირველად იხილება ვიზების საკითხზე მომუშავე ჯგუფის მიერ. ჩვეულებრივ, ამ პროცესში ერთვება შესაბამისი სამუშაო ჯგუფი საგარეო ურთიერთობათა სფეროდან.

ეს სამუშაო ჯგუფები გეოგრაფიული ნიშნითაა დაყოფილი: აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებზე სამუშაო ჯგუფი (COEST), რომელიც ასევე მოიცავს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს და რუსეთს, გაფართოებაზე და ევროკავშირთან მიერთებს პროცესი მყოფ ქვეყნებზე სამუშაო ჯგუფი (COELA), რომელიც მოიცავს თურქეთს; და დასავლეთ ბალკანეთის რეგიონზე სამუშაო ჯგუფი (COWEB), რომელიც, როგორც სახელმწიფება მიუთითებს, მოიცავს დასავლეთ ბალკანეთის რეგიონის ყველა სახელმწიფოს, კოსოვოს ჩათვლით.

რაც შეეხება ადგომურის ჯგუფების მუშაობას, მიზანშეწონილია კონტაქტების დამყარება სამუშაოს ჯგუფების ნევრებთან, განსაკუთრებით, ევროკავშირის იმ ქვეყნების წარმომადგენლებთან, რომელიც ჯგუფის მიზნებს იზიარებენ. ისინი საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მიაწოდებენ საჭირო ინფორმაციას და საქმის კურსში ჩააყენებენ მათ ამ უკანასკნელთა ინტერესების შესაბამისი უახლესი ტენდენციების შესახებ.

23 ვიზის ფასილიტაციის ხელშეკრულებების (რეადმისიის ხელშეკრულებებთან ერთად) არსებობა აუცილებელი წინაპირობაა ვიზების ლიბერალიზაციის (უკიზო მიმოსვლის) შესახებ შეასწორების მიზნების მიზნით მოლაპარაკებასთან დაწყებამდე. ვიზის ფასილიტაციის ხელშეკრულებები გულისხმობს ვიზების გამარტივებული გზით და შედარებით დაბალი საფასუროთ გაცემას განსცხადებელთა კონკრეტული კატეგორიებისთვის, მაგ., სტუდენტებისთვის, სამცურიერო სფეროს წარმომადგენლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის. თანამდევი რეადმისიის ხელშეკრულებები ხელმომწერ სახელმწიფოებს ავალდებულებს, განსაზღვრულობის რადგმისა თავიანთი მოქალაქეებისა, რომელიც მიყოფებინ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომლის მთავრობა აცხადებს, რომ ეს მოქალაქეები მის ტერიტორიაზე მოქმედი ვაზის გრეშე იმყოფებან; ასევე განსხორციელონ რეადმისია სხვა ქვეყნების მოქალაქეებისა, რომლებიც კვეთებ მათ ტერიტორიას რეადმისია ხელშეკრულების მონაწილე მეორე სახელმწიფოს შესვლის მიზნით. ვიზის ლიბერალიზაცია ევროკავშირის ქვეყნებთან, ჩვეულებრივ, წარმადგენს მომდევნო ეტაპს და მიღწვევა მკაცრ კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემდეგ რიგ ტექნიკურ სფეროებში, როგორებიცა დოკუმენტების უსაფრთხოება, სასაზღვრო კონტროლი, მიგრაციის პოლიტიკა, ადამიანის უფლებები და კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ განსხორციელებული ზომები. დეტალური ინფორმაციისთვის იხ. თავი: მესამე ქვეყნები.

ლისაბორნის ხელშეკრულების ძალაში შესვლასთან ერთად მართლმსაჯულებისა და საშინაო საქმეების სფეროში უმეტესობა გადაწყვეტილებებისა მიიღება საბჭოს წევრების ხმათა კვალიფიცირებული უმრავლესობით. პოლიტიკასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა მისაღებად, რომლებიც სავალდებულოა ყველა წევრი ქვეყნისთვის, საჭიროა 255 ხმა 345-დან. თუმცა, კონკრეტული საკითხიდან გამომდინარე, შეიძლება ხმის მიცემის პროცესში ყველა წევრი ქვეყანა ვერ მონაწილეობდეს.

იმის გამი, რომ დიდ ბრიტანეთს და ორლანდისას თავიანთი სავიზო პოლიტიკა აქვთ, ისინი არ მონაწილეობენ ევროკავშირის სავიზო პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებულ კენჭისყრაში. ეს ნიშნავს, რომ სავიზო პოლიტიკასთან დაკავშირებით წარმოდგენილი წინადადების დასამტკიცებლად საჭიროა 228 ხმა 309-დან. ამასთან, 28 წევრი ქვეყნის ხმათა კვალიფიცირებული უმრავლესობა გულისხმობს, რომ ხმა უნდა მისცეს სულ მცირე 14-მა ქვეყანამ (50%-ზე მეტმა), რაც ნიშნავს სულ მცირე 311 მილიონ ადამიანს (ევროკავშირის მოსახლეობის 62%-ს). ჩვეულებრივ, ბოლო ორი პირობა სრულდება 255 დადებითი ხმის შემთხვევაში. ვიზებთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით, შესაბამისად, საჭიროა 13 ქვეყანა და 261 მილიონი მოქალაქე.<sup>24</sup>

ადვოკატურის წარმომადგენლების ხედვით, მნიშვნელოვანი ცვლილება გამოიხატა მართლმსაჯულებისა და საშინაო საქმეების პოლიტიკის სფეროებში კვალიფიცირებული უმრავლესობის პრინციპის შემოღებაში მაშინ, როდესაც მანამდე არსებობდა გადაწყვეტილების ერთხმად მიღების აუცილებლობა. ეს ნიშნავს, რომ ერთ წევრ ქვეყანას აღარ შეუძლია ამ სფეროებში მისაღები გადაწყვეტილების დაბლოკა. გადაწყვეტილების ერთხმად მიღების პრინციპი შენარჩუნებულია მხოლოდ პასპორტებთან და პირადობის დამადასტურებელ მოწმობებთან, საოჯახო სამართალთან და პოლიტიკის სფეროში თანამშრომლობასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით.

24. 2014 წლის 1-ლი ნოემბრიდან ძალაში შევა ლისაბორნის ხელშეკრულების წესები, რაც ნიშნავს, რომ მუხლი 16-ის თანაბმად, კომისიის წინადადებისთვის კენჭის საყრდენად საჭიროა წევრი ქვეყნების 55%-სგან შემდგარი კვალიფიცირებული უმრავლესობა (სხვა შემთხვევაში საჭიროა 72%), რაც ევროკავშირის მოსახლეობის დაახლოებით 65%-ს შეადგენს.

### (iii) ევროკომისია

ადრე მართლმსაჯულებისა და საშინაო საქმეების სფეროს მართავდა ევროკომისის წარმომადგენლი ერთი კომისარი და ერთი გენერალური დირექტორატი, რომელსაც მართლმსაჯულების, თავისუფლების და უსაფრთხოების საკითხთა დირექტორატი ეწოდებოდა. 2010 წლის პირველი ნახევრდან ბაროზოს მეორე კომისიის მუშაობის დაწყებასთან ერთად სამუშაო დატვირთვა ევროკომისის ორ კომისარზე გადანაწილდა: სესილია მალსტრომი (შვედეთი) დაინიშნა საშინაო საქმეების სფეროს ხელმძღვანელად, ხოლო ვივიენ რედინგი (ლუქსემბურგი) სათავეში ჩაუდგა მართლმსაჯულების, ძირითადი უფლებებისა და მოქალაქეობის საკითხთა სფეროს. აღნიშნულმა გამიჯვნამ ასახა პასუხისმგებლობათა გადანაწილების წევრ ქვეყნების უმრავლესობაში არსებული პრაქტიკა, რომლებსაც ჰყავთ როგორც შინაგან საქმეთა, ასევე იუსტიციის მინისტრები.

2010 წლის ივლისში მართლმსაჯულების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების საკითხთა გენერალური დირექტორატი ასევე ორად დაიყო: საშინაო საქმეთა გენერალური დირექტორატი და მართლმსაჯულების საკითხთა გენერალური დირექტორატი. საშინაო საქმეთა გენერალური დირექტორატი მუშაობს საკითხებზე, როგორიცაა მიგრაცია და თავშესაფრის პოლიტიკა, ვიზები, კონტროლი საზღვრებზე, შეიდა უსაფრთხოება, პოლიციის სფეროში თანამშრომლობა, ტერორიზმი, ბრძოლა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ და ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი). გენერალური დირექტორატი ასევე კოორდინაციას უწევს ევროკავშირის საქმიანობებს, რომლებიც მიმართულია პარტნიორობისა გამყარებისა და მესამე ქვეყნების პოლიციალის ზრდისკენ, მიგრაციული ნაკადების მართვის კუთხით. მართლმსაჯულების საკითხთა გენერალური დირექტორატის კომპეტენციის სფერო მოიცავს სამოქალაქო და სისხლის სამართლის, ძირითადი უფლებებისა და მოქალაქეობის საკითხებს.

კომისია ოთხი ძირითადი მიმართულებით მუშაობს: საკანონმდებლო წინადადებების ინიციორება და შემუშავების პროცესის ზედამხედველობა, ევროკავშირის წევრი ქვეყნების *acquis communautaire*-სთან (ევროკავშირის კანონთა კრებული) შესაბამისობის მონიტორინგი, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საქმიანობების განხორციელება და მესამე ქვეყნებთან ურთიერთობა-

თა წარმოება. ყველა ამ სფეროში კომისია თავის მუშაობას ახორციელებს ტრადიციული ცნობადი საშუალებებით, როგორებიცაა ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე მონაცემების შეგროვება და ანალიზი, მდიდარი გამოცდილება კანონების შემუშავებასა და საერთაშორისო მოლაპარაკებები და დროში წარმატებულად გამოცდილი სამუშაო ფორმატების გამოყენება.

მუშაობის ამ წარმატებულმა გზებმა კომისიას დაუმკვიდრეს ავტორიტეტი სოლიდური პარტნიორისა, რომელსაც შეუძლია პირობების ნათლად ჩამოყალიბება და დაყენება, პროცესის ჰარმონიზაციის დაგეგმვა და ეფექტური საშუალებების გამოყენება მიღებულ ნორმებთან შესაბამისობის დასადასტურებლად.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლისაბორის ხელშეკრულების ძალაში შესვლასთან ერთად მართლმსაჯულებისა და საშინაო საქმეების სფეროს საკითხთა უმრავლესობა წყდება „სტანდარტული საკანონმდებლო პროცედურის“ შესაბამისად, რაც ნიშნავს კვალიფიცირებული უმრავლესობის მიერ კენჭისყრას საბჭოში და ევროპარლამენტის თანაბარ საკანონმდებლო ძალაუფლებას. აღნიშნული ვრცელდება სავიზო პოლიტიკის (სადაც ევროპარლამენტი ამიერიდან თავის როლს ასრულებს), კანონიერი იმიგრაციის, სისხლის სამართლის სფეროში სასამართლო უწყებათა თანამშრომლობის, „ევროსასამართლოს“ (Eurojust) და „ევროპოლის“ (Europol)<sup>25</sup>, პოლიციის თეორიულ საკითხებში თანამშრომლობისა და სამოქალაქო დაცვის სფეროებზე.

ევროკომისია საკანონმდებლო პროცესს იწყებს წინადადების დაყენებით, რომელიც, ჩვეულებრივ, წინასწარ, დაინტერესებულ მსარებებან ერთად იხილება. წინადადება მუშავდება შესაბამისი პასუხისმგებელი გენერალური დირექტორატის მიერ, როგორიცაა საშინაო საქმეთა გენერალური დირექტორატი და იგზავნება შიდა კონსულტაციებისთვის: სხვა გენერალურმა დირექტორატებმა შეიძლება მასში ცვლილება შეიტანონ. ამ „შიდასამსახუ-

25. Eurojust ევროკავშირის სააგენტო, რომელიც ანარმოებს წევრი ქვეყნების მართლმსაჯულების უწყებათა სისხლის სამართლის სფეროში თანამშრომლობის კოორდინირებას, რაც, უპირველესად, გულისხმობს გამომძიებლებისა და პროკურორების თანამშრომლობას განსაკუთრებით მძიმე სახის ორგანიზებული დანაშაულის და საზღვრის გადაკვეთით ჩატენილ დანაშაულებათა მიმართულებით. Europol ევროკავშირის სისხლის სამართლის საინფორმაციო-სადაზევრვო სააგენტოა. ორივე უწყება მდებარეობს წილით დანდის ქალაქ ჰააგაში.

რეპრივ“ კონსულტაციათა შემდგომ წინადადება „მტკიცდება“ კომისიის მთელი შემადგენლობის მიერ. აღნიშნული შეიძლება გაკეთდეს წერილობით, ან, თუ წინადადება საკამათოა, ან განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხებს ეხება, კომისიის ყოველკვირეულ შეკრებებზე. კომისრები, ჩვეულებრივ, ცდილობენ შეთანხმებას მიაღწიონ, თუმცა, მათ უფლება აქვთ, წინადადება კენჭისყრაზე დააყენონ და საკითხი ხმათა უბრალო უმრავლესობით გადაწყვიტონ.

ზოგჯერ კომისია ისმენს ევროკავშირის ორი სააგენტოს მოსაზრებებს (რომელიც არ ატარებს სავალდებულო ხასიათს): ეს სააგენტოებია: რეგიონების საკითხთა კომიტეტი და ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა ევროპული კომიტეტი.<sup>26</sup> თუმცა, ეს კომიტეტები, ფაქტობრივად, არაანაირად არ მონაწილეობენ მართლმასაჯულების და საშინაო საქმეების სფეროში (გამონაკლისი მხოლოდ სამოქალაქო დაცვაა), ისე რომ კომისია თავის წინადადებას პირდაპირ უზავინის საბჭოს, ევროპარლამენტს და ევროკავშირის წევრი ქვეყნების ნაციონალურ პარლამენტებს. ამ უკანასკნელთ ევალებათ, უზრუნველყონ სუბსიდიარობის პრინციპთან შესაბამისობა, რისთვისაც ეძლევათ რვა თვის ვადა.

სუბსიდიარობის პრინციპი (subsidiarity principle) აღნიშნავს, რომ „იმ სფეროების გარდა, რომლებიც განეკუთვნება ევროკავშირის ექსკულუზიურ კომპეტენციას, კავშირი იმოქმედებს მხოლოდ მაშინ, როდესაც დასახულ მიზანს წევრი ქვეყნები ჯეროვნად ვერ განახორციელებენ ვერც ცენტრალურ, ვერ რეგიონულ და ადგილობრვ დონეზე და აღნიშნული მიზნის მასშტაბიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, იგი უკეთ მიიღწევა თავად კავშირის მიერ“<sup>27</sup> (ნაციონალური პარლამენტების როლის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. თავზი: ევროპარლამენტი და ნაციონალური პარლამენტები).

26. რეგიონების საკითხთა კომიტეტი (CoR) ნარმოადგენს პოლიტიკურ საკითხებზე მომუშავე გაერთიანებას, რომელიც ადგილობრივ და რეგიონულ აღმინისტრაციებს აწოდებს ინფორმაციას ევროკავშირის „შუაგულიდან“. იხ. [www.cor.europa.eu](http://www.cor.europa.eu). ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა ევროპული კომიტეტი (EESC) ნარმოადგენს კონსულტაციურ ორგანის, რომელიც ევროკავშირის სოციალურ და დასაქმებით იმზერებსა ჯგუფებისა და სხვებისთვის უზრუნველყოფს ოფიციალურ პლატფორმას ევროკავშირის პოზიციებთან დაკავშირებით მოსაზრებების გასაჟღებლად. იხ. [www.eesc.europa.eu](http://www.eesc.europa.eu)

27. ევროკავშირის ხელშეკრულება, მუხლი 5.3

ამავდროულად, ევროპარლამენტს შეუძლია წამოიწყოს წინადადების განხილვის, შეცვლისა და მიღების პროცესი, რომლის შემდეგ იგი იგზავნება საბჭოში განსახილველად, ცვლილებების შესატანად და მისაღებად. გადაწყვეტილების მიღების პროცესში მიმდინარე მოლაპარაკებებში ჩართულია სამივე მონაწილე (საბჭო, ევროპარლამენტი, კომისია) და მათი პოზიციებისა და ინიცირებული ცვლილებების ურთიერთგაზიარების შედეგად წინადადება შეიძლება მიღებულ იქნეს პირველი წაკითხვით. იმ შემთხვევაში, თუ მონაწილეები შეთანხმებას ვერ მიაღწევენ, წინადადება განხილულ იქნება მეორე წაკითხვით.

აღნიშნული პროცესის განმავლობაში კომისიას შეუძლია გააკეთოს შენიშვნები დანარჩენი ორი საკანონმდებლო ორგანოს მიერ წამოყენებულ პოზიციებსა და ცვლილებებთან დაკავშირებით და შეიტანოს კიდეც თავისი შენიშვნები წინადადების ტექსტში; რაც, შედეგად, ცვლის ხმათა რაოდენობას, რაც აუცილებელია წინადადების მეორე წაკითხვით მისაღებად.<sup>28</sup> თუ წინადადება მეორე წაკითხვითაც არ იქნება მიღებული, იგი გადაეცემა შემათანხმებელ კომიტეტს (conciliation committee). წევრი ქვეყნებისა და ევროპარლამენტის წარმომადგენლები და შესაბამისი კომისარი განიხილავენ შეუთანხმებლობის მიზეზებს და ცდილობენ, შეიმუშავონ ორივე მონაწილისთვის მისაღები ტექსტი. საბოლოოდ, ახალი ინიციატივა უნდა დაამტკიცოს საბჭომ და პარლამენტმა ან ჩაითვლება, რომ ინიციატივა ჩავარდა.

რამდენიმე გამონაკლისის გარდა, კომისიას აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, რაც ნიშავს, რომ მას უფლება აქვს, წარდგეს ახალი საკანონმდებლო აქტების პროექტების განხილვის წინადადებით. თუმცა, ლისაბორნის ხელშეკრულების მიხედვით, წევრი ქვეყნების ერთ მეოთხედს ასევე შეუძლია წინადადებების ინიცირება სისხლის სამართლის საკითხებში სასამართლო უწყებათა თანამშრომლობის, პოლიციის სფეროში თანამშრომლობისა და ადმინისტრაციული თანამშრომლობის სფეროში.

28. თუ კომისია უარყოფითად შეაფასებს პარლამენტის მიერ ინიცირებულ ცვლილებებს, პარლამენტის პოზიციის მხარდასაჭერად აუცილებელია საბჭოს ერთსულოვნება; მაშინ, როდესაც კომისიის მიერ ცვლილებათა დაფებითი შეფასების შემთხვევაში საბჭოს კვალიფიცირებული უმრავლესობა საკმარისია.

კომისიის წინადადებების განხილვა-მიღება წარმატებული პროცესია. ევროკავშირის კანონმდებლობის ორ მესამედზე მეტი პირველი წაკითხვითა მიღებული. ეს შეიძლება აისხნას იმ ფაქტით, რომ გენერალურ დირექტორატებს ხელი მიუწვდებათ საჭირო ტექნიკური სახის ინფორმაციასა და პროფესიულ შეფასებებზე. ამასთან, მათი საკანონმდებელო ინიციატივები ექსპერტული და საზოგადოებრივი განხილვის საგანი ხდება და ამდენად, მისასებად სასურველ საბოლოო ფორმას იძენს. კომისია ასევე აუდერებს თავის პოზიციებს ევროპარლამენტსა და საბჭოში და იშვიათად წარადგენს წინადადებებს, რომლებიც შეიძლება ჩაგარდეს.

საკანონმდებლო წინადადებებში თავიანთი პოზიციების ასახვის მიზნით სამოქალაქო დამცველებმა სწორად უნდა განსაზღვრონ წინადადების შემუშავებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციის და ადრეულ ეტაპზევე ჩაერთონ საკანონმდებლო ინიციატივის როგორც მასშტაბისა და მიმართულების განსაზღვრის, ასევე მისი ფორმულირების პროცესში.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, კომისია კვლავ ცდილობს, გააფართოვოს მანდატი და მოიპოვოს დამატებითი უფლებამოსილება სფეროებში, რომლებიც წევრი ქვეყნების სუვერენულ უფლებებად არის მიწეული. ასე მაგალითად, 2011 წელს კომისია წარუმატებელი აღმოჩნდა მცდელობებში, მოეპოვებინა მხარდაჭერა ახალი წესების პაკეტის მისაღებად, რომელთა მიხედვით ნაციონალური მთავრობები შესძლებდნენ, აღედგინათ სასაზღვრო კონტროლი შენგენის სივრცის შიდა საზღვრებზე. საპროექტო წინადადების გასვლის შემთხვევაში აღნიშნული წესების დასამტკიცებლად საჭირო იქნებოდა გადაწყვეტილების მიღება ევროკავშირის დონეზე – კომისიას მიერ ინიცირებული წინადადება, მხარდაჭერილი საბჭოს კვალიფიცირებული უმრავლესობის მიერ – რათა წევრი ქვეყანას შემოედო სასაზღვრო კონტროლი თავის (შიდა) საზღვარზე, ვიზიტორის 5 დღეზე მეტი წებისმიერი პერიოდით შესვლისას.

კომისიის ზემოთ აღნიშნული ინიციატივა წარმოადგენდა პასუხს რიგი წევრი ქვეყნების (საფრანგეთის, იტალიისა და დანიის) მცდელობებზე, გადაეხვიათ შენგენის ხელშეკრულებით განსაზღვრული წესებისგან, რომლებიც შიდა გადაადგილების თავისუფლებას ითვალისწინებს. კომისიის წინადადება რამდენიმე წამყვანი წევრი ქვეყნის ძლიერ წინააღმდეგობას გადააწყდა, რაც წათლად მიუთითებს საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავებისას ზესა-

ხელმწფობრივი კოორდინირებისა და კონტროლის მექანიზმების ჩართვის მნიშვნელოვნობაზე, იმ შემთხვევაში, როდესაც ახალი ინიციტივა უპირის-პირდება საკვანძო წევრ ქვეყნების პოლიტიკურ განწყობას ან ინტერესებს.

#### (iv) ვაროპარლამენტი და ნაციონალური პარლამენტები

ევროპარლამენტი და ნაციონალური კანონმდებლობები ორ ძირითად ფუნქ-ციას ემსახურებიან:

1. ნორმებისა და სტანდარტების განსაზღვრა კანონების შემუშავების და მათში ცვლილებების შეტანის გზით (კანონმდებლობითი ფუნქცია);
2. აღნიშნული ნორმების განხორციელების მონიტორინგი და ევროკავშირის ინსტიტუტებისა და წევრი ქვეყნების მიერ ნაკისრ ვალდებულებებთან შე-საბამისობის უზრუნველყოფა (მაკონტროლებელი ფუნქცია);

თუმცა, ევროპარლამენტის უფლებამოსილება არ შემოიფარგლება იმ ფა-ქტით, რომ მას არ შეუძლია საკანონმდებლო წინადაღებების ინიცირება და რომ მისი უფლებამოსილება გულისხმობს მხოლოდ ცვლილებების შე-ტანას კომისიის მიერ წამოყენებულ ინიციატივებში. საკანონმდებლო წინა-დადებების წამოყენების ნაციონალური პარლამენტების უფლებამოსილება ვრცელდება იმ სფეროებზე, სადაც ევროკავშირს არ აქვს ექსკლუზიური კომპეტენცია ან სადაც ეს კომპეტენცია წევრ ქვეყნებსაც აქვთ. აღნიშნულ სფეროებში კანონმდებლებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათი კანონპროე-ქტები არ ეწინააღმდეგება *acquis communautaire*-ს.<sup>29</sup>

ევროპარლამენტის მაკონტროლებელი ფუნქცია ასევე შემოსაზღვრულია: ევროკავშირის ბიუჯეტის დასამტკიცებლად საჭიროა მისი თანხმობა (უარი:

29. ძირითადი პრინციპი აქ ისაა, რომ ევროკავშირის კანონმდებლობას უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება ნაციონალურ რეგულაციებთან მიმართებაში, თუმცა მისი განხორციელების მოდელი განსხვავდება კონკრეტული ქვეყნის მიხედვით, რაც განპირობებულია მოქმედი კონსტიტუ-ციური წორმებით და კონსტიტუციური სასამართლოს როლით მოცემულ წევრ ქვეყანაში.

ბიუჯეტის დამტკიცებაზე გამოიწვევს კომისიის დაშლას, რაც დღემდე არ მომხდარა), ხოლო ნაციონალურ პარლამენტებს უფლება აქვთ, შეაჩერონ ევროკავშირის საკანონმდებლო პროცედურა, გადაუგზავნიან რა კანონპროექტს უკან კომისიას ან მოითხოვონ კენჭისყრა ევროპარლამენტში, ან საბჭოში, იმ შემთხვევაში, თუ კანონპროექტი არ შეესაბამება სუბსიდიარობის პრინციპს.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, სწორედ საპარლამენტო ორგანოები წარმოადგენენ ძირითად „შესვლის პუნქტს“ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის, ადგოყატურულ საქმიანობათა საწარმოებლად. ეს ორგანოები ლეგიტიმურია მათი პირდაპირი არჩევნების გამო (რომლებიც პირველად ევროპარლამენტში 1979 წელს ჩატარდა) და წარმოადგენს ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეებს. ევროკავშირის სხვა ინსტიტუტებთან შედარებით, ევროპარლამენტი და ასევე ნაციონალური პარლამენტებიც უფრო გამჭირვალე და ღიაა გარე მონაწილეობაზე სხვადასხვა სახის ზეგავლენაზე საპასუხოდ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლისაბონის ხელშეკრულებამ გაზარდა ევროპარლამენტის როლი ევროკავშირის მართლმსაჯულებისა და საშინაო საქმეების სფეროში კანონმდებლობის შემუშავების პროცესში. კავშირის პოლიტიკის თითქმის ყველა სფეროზე ვრცელდება სტანდარტული საკანონმდებლო პროცედურა, რომლის მიხედვით კომისიის წებისმიერი წინადადება გადაეცემა განსახილველად პარლამენტს. წინადადებები და შესაძლო ცვლილებები თავდაპირველად იხილება და მათ კენჭს უყრიან შესაბამის საპარლამენტო კომიტეტებში: მიგრაციისა და სავიზო პოლიტიკის საკითხებში ესაა სამოქალაქო თავისუფლებების, მართლმსაჯულებისა და საშინაო საქმეთა კომიტეტი (Committee on Civil Liberties, Justice and Home Affairs - LIBE), საგარეო საქმეთა კომიტეტი (Committee on Foreign Affairs - AFET), და მისი ადამიანის უფლებების საკითხთა ქვეკომიტეტი (Subcommittee on Human Rights - DROI).

წამყვანი როლი ეკისრება სამოქალაქო თავისუფლებების, მართლმსაჯულებისა და საშინაო საქმეთა კომიტეტს, რომლის კომპეტენციაშიც შედის საშინაო საქმეებთან დაკავშირებული მრავალი სხვადასხვა საკითხი. სავიზო პოლიტიკა ასევე საგარეო საქმეთა კომიტეტის მუდმივი განხილვის საგანია, ვინაიდან იგი მესამე ქვეყნების საკითხთანაა დაკავშირებული. თუ ამ ქვეყნებში მწვავედ დგას ადამიანის უფლებათა საკითხები, განხილვაში ადა-

მიანის უფლებათა ქვეკომიტეტიც ერთვება. უნივერსალური მნიშვნელობის საკითხების მოსმენისა და საჯარო დეპატეტის პარალურად, ქვეკომიტეტი იღებს გადაწყვეტილებებს ისეთი საკითხების ირგვლივ, როგორებიცაა სიკვდილით დასკა, წამება, უმცირესობათა დაცვა და დემოკრატიულ ფასეულობათა დანერგვა მესამე ქვეყნებში.

ევროპარლამენტის კომიტეტები ადვოკატურულ საქმიანობათა მიმართვის ლოგიკურ „შესვლის პუნქტს“ წარმოადგენს, ვინაიდან სწორედ კომიტეტები მუშაობენ კომისიის მიერ ინცირებულ წინადადებებში ცელილებების შეტანაზე, რომლებიც შემდგომ პლენარულ კენჭისყრაზე დგება. საკომიტეტო მსჯელობა წინადადებათა შინაარსის ირგვლივ იმართება და იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მოცემული საკითხი პოლიტიკურად განსაკუთრებით მგრძნობიარება, პარლამენტარებს საშუალება აქვთ, თავისუფლად იმუშაონ კომიტეტებში, ვინაიდნ პოლიტიკური ჯგუფები არ აყენებენ კენჭისყრის მკაცრად განსაზღვრულ რეჟიმში ჩატარების მოთხოვნას. პლენარული განხილვა გაცილებით უფრო პოლიტიზირებულია და მოიაზრებს გარიგებების მიზნით მოლაპარაკებების წარმოებას და არაფორმალური კოალიციების ფორმირებას ინტერესთა მიხედვით.

კომიტეტის უპირველესი წევრი, ვისაც ადვოკატურის ჯგუფებმა უნდა მიმართონ, არის მომხსენებელი კონკრეტულ საკითხზე, რომელიც ინიშნება მას შემდეგ, რაც წინადადება პარლამენტს გადაეცემა. ასევე მიზანშეწონილია კონტაქტის დამყარება იმ პოლიტიკურ პარტიათა წევრებთან, რომლებიც იზიარებენ ან ახლოს დგანან ადვოკატურის ჯგუფის მოსაზრებებსა და მიზნებთან. პარლამენტის წევრები, ჩვეულებრივ, ავლენენ მზაობას საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობისთვის.

ლისაბონის ხელშეკრულებამ გაზარდა წევრი ქვეყნების ნაციონალური პარლამენტების როლი ევროკავშირის სივრცეში გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მათი ფუნქციაა, უზრუნველყონ, რომ ევროკავშირის ინსტიტუტის მიერ შემუშავებულ ნებისმიერ წინადადებაში გათვალისწინებულ იქნეს სუბსიდიარობის პრინციპი. ამ პრინციპის თანახმად, იმ სფეროებში, სადაც არ ვრცელდება ევროკავშირის ექსპლუზიური კომპეტენცია, ამ უკანასკნელმა უნდა იმოქმედოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული წინადადებით განსაზღვრული მიზნები ვერ მიიღწევა წევრი ქვეყნების მიერ (ცენტრალური,

რეგიონული ან ადგილობრივი უწყებების დონეზე). ნაციონალურ პარლამენტებს მოცემულ წინადადების ირგვლივ „დასაბუთებული პოზიციის“ შესამუშავებლად რვა კვირა აქვთ.

ნაციონალური პარლამენტის სულ მცირე ერთი მეოთხედის ნეგატიური აზრი საკმარისია, რათა მართლმსაჯულებისა და საშინაო საქმეების სფეროში შემუშავებული წინადადება უკან დაუბრუნდეს კომისიას ხელახლა განსახილველად. ვინაიდან ნაციონალურ პარლამენტებს არ აქვთ კომისიის წინადადებაზე პირდაპირ ვეტოს დადების უფლება, ისინი კომისიის მისამართით იყენებენ აღნიშნულ „ყვითელ ბარათს“, რის საფუძველზეც ამ უკანასკნელს შეუძლია წინადადებაში შეიტანოს ცვლილებები, დატოვოს იგი უცვლელად ან, საერთოდ, მოხსნას დღის წესრიგიდან.

ნაციონალურ პარლამენტებს კიდევ უფრო მეტი ძალა აქვთ იმ შემთხვევაში, როდესაც მათი უმრავლესობა უარყოფს წარმოდგენილ წინადადებას, რაც კომისიის მისამართით „ნარიჯისფერი ბარათის“ გამოყენების ტოლფასია. თუ კომისია აღნიშნულ სიტუაციაში გადაწყვეტს, მაინც გააგრძელოს ინიცირებულ წინადადებაზე მუშაობა, ის ეგზავნება პირდაპირ ევროპარლამენტს და საბჭოს, რომელიც კერძის უყრის, გაგრძელდეს თუ შეწყდეს საკანონმდებლო პროცესი.<sup>30</sup> 2009 წლის დეკემბრიდან 2011 წლის სეტემბრის პირველ წახევრამდე პერიოდში ნაციონალურმა პარლამენტებმა 69 დასაბუთებული მოსაზრება წარადგინეს.

ყველაზე მეტი წინააღმდეგობის გამომწვევ კანონპროექტებს შორის აღსანიშნავია საბჭოს დირექტივის პროექტი ერთიანი კონსოლიდირებული კორპორაციული საგადასახადო ბაზის შექმნის შესახებ და დირექტივის პროექტი მესამე ქვეყნების მოქალაქეთა სეზონური დასაქმების მიზნით შესვლის და ბინადრობის პირობების შესახებ. ორივე პროექტი გაპროტესტდა ცხრა პარლამენტის მიერ, თუმცა ეს მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი ნარიჯისფერი ბარათის წარსადგენად.<sup>31</sup>

30. ამ შემთხვევაში წინადადება იძლოება ევროპარლამენტში ხმათა უბრალო უმრავლესობით ან ევროკავშირის საბჭოში შემაგრილი წევრი ქვეყნების 55%-ით.

31. საპარლამენტო კომიტეტების კონფერენცია ევროკავშირის პარლამენტთა გაერთიანების საკითხებთან დაკავშირებთ (COSAC). მე-16 ორნლიანი ანგარიში: ევროკავშირის საპარლამენტო საქმეთანარმობის პროცედურებისა და პარაქტიკის განვითარების შესახებ, 2011 წლის ოქტომბერი, იხ. <http://cosac.eu/en/documents/biannual/>.

დამატებით, 2006 წლიდან კომისია ინიშნავს ნაციონალური პარლამენტების მოსაზრებებს და ეყრდნობა მათ გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაუმჯობესებისა და საკუთარ მოქალაქებთან ევროკავშირის დაახლოვების მიზნით. ეს პროცესი ცნობილია კომისიასა და ნაციონალურ პარლამენტებს შორის „პოლიტიკური დიალოგის“ სახელწოდებით და ამ პროცესში პარლამენტები საქმაო აქტიურობით გამოიჩინა: მხოლოდ 2011 წლის იანვარ-ნოემბერში მათ 500-ზე მეტი მოსაზრება წარადგინეს.<sup>32</sup>

ევროკავშირის კანონმდებლობის ნაციონალური პარლამენტების მიერ განხილვის რვაკვირიანი პერიოდი ხელსაყრელი საშუალებაა სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტებისთვის, სასურველი ჩარევის განსახორციელებლად. განხილვა მიმდინარეობს ევროკავშირთან დაკავშირებულ საკითხებზე პასუხისმგებელ საპარლამენტო კომიტეტში; შესაბამისად, ამ კომიტეტის წევრები (განსაკუთრებით, ისინი, ვინც დაინტერესებულია მართლმსაჯულებითა და საშინაო საქმეებით) წარმოადგენს ადვოკატურის ბუნებრივ სამიზნეს. პანევროპული კამპანიების შემთხვევაში მიზანშეწონილია, შეფასდეს სხვადასხვა ნაციონალური პარლამენტის აქტივობები და მათ შორის უფრო აქტიური არჩეულ იქნენ სამიზნედ.<sup>33</sup>

32. T. Hofejšová, P. Kaźmierkiewicz, J. Lovitt, V. Říháčková. *The Right Approach to Europe. An Advocacy Handbook for Civil Society: Understanding and Influencing EU Policymaking* (ტ. პორეშოვა, პ. კაჟმიერკევიჩი, ჯ. ლოვიტი, ვ. რიჰაჟკოვა, სწორი მიდგომა ევროპისადმი. ადვოკატირების სახელმძღვანელო სამოქალაქო საზოგადოებისთვის: ევროკავშირის პოლიტიკის გააზრება და მასზე გავლენის მოხდენა), PASOS, პრაღა, ჩეხეთის რესპუბლიკა, 2012 წ., ISBN 978-80-905105-3-1, გვ. 61-63

33. 2011 წლის იანვრიდან ნოემბრამდე პერიოდში მოსაზრებათა საერთო რაოდენობის 80%-ზე მეტი (5211-დან 422) განხილულ იქნა ცხრა პარლამენტის მიერ 39 პარლამენტიდან. ყველაზე მეტი აქტივობით გამოიჩინდენ პორტუგალიის პარლამენტის ქვედა პალატა, იტალიის და რუმინეთის პარლამენტებს ორივე პალატა და ჩეხეთის, გერმანიისა და დიდი ბრიტანეთის ზედა პალატები. პარლამენტების უმრავლესობამ წარადგინ ხუთ მოსაზრებაზე ნაკლები. წყარო: T. Hofejšová, P. Kaźmierkiewicz, J. Lovitt, V. Říháčková. *The Right Approach to Europe. An Advocacy Handbook for Civil Society: Understanding and Influencing EU Policymaking* (ტ. პორეშოვა, პ. კაჟმიერკევიჩი, ჯ. ლოვიტი, ვ. რიჰაჟკოვა, სწორი მიდგომა ევროპასთან. ადვოკატირების სახელმძღვანელო სამოქალაქო საზოგადოებისთვის: ევროკავშირის პოლიტიკის გააზრება და მასზე გავლენის მოხდენა), PASOS, პრაღა, ჩეხეთის რესპუბლიკა, 2012 წ., ISBN 978-80-905105-3-1, გვ. 39

წევრ ქვეყანაში არსებული საზოგადოებრივი ორგანიზაციები სარგებლობენ უპირატესობით, ვინაიდან მათ შეუძლიათ, აქტიური კავშირი იქნიონ შესაბამისი კომიტეტის წევრებთან ან პოლიტიკურ პარტიებთან, რომლებსაც ისინი მიეკუთვნებიან. ამავდროულად, მულტინაციონალურ კოალიციებს შეუძლიათ, კომისიის მიერ ინიცირებულ წინადადებას თვალი ადრეულ ეტაპზევე მიადევნონ და კონკრეტულ წევრ ქვეყანაში არსებულ თავიანთ პარტიიორებს შესაბამისი „ადრეული გაფრთხილება“ გაუგზავნონ, რაც ამ უკანასკნელთ საშუალებას მისცემს, გამოიმუშავონ კონკრეტული პოზიცია და გააცნონ იგი შესაბამისი საპარლამენტო კომიტეტის წევრებს.

ადვოკატურის კოალიციებს ასევე შეუძლიათ, გამოიყენონ ფორმალური და არაფორმალური კავშირები ევროპარლამენტსა და ნაციონალურ კანონმდებლობებს შორის, თავიანთი პოზიციის უფრო მკაფიოდ გასაქლერებლად. ნაციონალური პარლამენტის წევრები რეგულარულად ესწრებიან ევროპარლამენტის სხვადასხვა კომიტეტის სხდომებს, რაც მათ საშუალებას აძლევთ, გამოიტვან თავიანთი პოზიცია კომისიის წინადადებების ირგვლივ. მსგავსი კონტაქტები ინსტიტუციონალიზებულ იქნა ევროკავშირის საკითხებზე პასუხისმგებელი კომიტეტის წევრების შემთხვევაში, რომლებიც რეგულარულად ხვდებიან პარლამენტარებს და კომისიის ოფიციალურ წევრებს ევროკავშირის პარლამენტთა გაერთიანების საკითხებთან დაკავშირებით საპარლამენტო კომიტეტების კონფერენციის ფორმატში.<sup>34</sup>

ადვოკატურის მიზნებით ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს ევროპარლამენტის პოლიტიკურ ჯგუფებსა და წევრ ქვეყნებში არსებულ პოლიტიკურ პარტიებს შორის არსებული კავშირები. ბევრ ევროპარლამენტარს უჭირავს კონკრეტული თანამდებობა თავიანთ პარტიაში თავის ქვეყანაში და ისინი, ამდენად, ინარჩუნებენ კონტაქტებს პარტიულ კოლეგებთან ნაციონალურ პარლამენტებში. თუმცა ოფიციალურად ისინი ვალდებული არ არიან, ერთგულად მიჰყვნენ თავიანთი პარტიის პროგრამას და მიუხედავად იმისა, რომ ევროპარლამენტის შიგნით არსებულ განსხვავებულ ინტერესთა ურთიერთჭიდილი გარკვეულ ზეგავლენას ახდენს მათ პოზიციებზე, ევროპარლამენტართა კონკრეტული ნაწილი აგრძელებს აქტიურ მონაწილეობას ნაციონალურ დებატებში ევროკავშირთან დაკავშირებულ საკითხებზე.

34 <http://www.cosac.eu/>

## (v) მესამე ქვეყნები

ევროკავშირმა შეიმუშავა სტანდარტული ფორმატი დებატების საწარმოებლად მესამე ქვეყნების მთავრობებთან, რომელსაც სურთ თავიანთი მოქალაქეებისთვის მოკლევადიანი ვიზის მოთხოვნის გაუქმება. ეს გულისხმობს პროცესს, რომლის მიხედვით დაინტერესებული ქვეყანა ეტაპობრივად ახდენს თავისი კანონმდებლობის ჰარმონიზაციას კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში და ავითარებს ცენტრალური ადმინისტრაციული ორგანოებისა და აღმასრულებელი სამსახურების შესაძლებლობებს.

შესაბამისი საკითხები ოთხ ეტაპად იყოფა:

- 1. დოკუმენტების უსაფრთხოება** (ბიომეტრული პასპორტები, უსაფრთხო სამოქალაქო აღრიცხვის სისტემები, ინტერპოლის დაკარგული და მოპარული პასპორტების მონაცემთა ბაზა);
- 2. არაეგულარული მიგრაცია** რეადმისიის ჩათვლით (ინტეგრირებული საზღვრის მართვა, სრულყოფილად აღჭურვილი საზღვრები, თავშესაფრის ფუნქციონალური სისტემა, მიგრაციის მონიტორინგი და მართვა, ბრძოლა უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ, რეადმისიისა და რეინტეგრაციის სტრატეგიები დაბრუნებული მიგრანტებისთვის, თანამშრომლობა Frontex<sup>35</sup>-თან);
- 3. საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება** (ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების ეფექტურობის ამაღლებისკენ მიმართული ზომები, თანამშრომლობა „ევროსასამართლოსთან“ (Eurojust) და „ევროპოლთან“ (Europol) და წევრი ქვეყნების სააგენტოებსა და უწყებებთან, შესაბამისი საერთაშორისო კონვენციის მიღება და განხორციელება, პირადი ინფორმაციის დაცვა);
- 4. საგარეო ურთიერთობები და ძირითადი უფლებები** (გადაადგილების თავისუფლება და სამგზავრო და პირადობის დოკუმენტების ხელმისაწვდომობა

35. Frontex (ევროპული სააგენტო ევროკავშირის წევრი ქვეყნების გარე საზღვრებზე მოქმედ უწყებათა თანამშრომლობის საკითხებში) შეიქმნა 2004 წლას, ნაციონალურ სასაზღვრო უწყებებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებისა და ჰარმონიზების მიზნით. [www.frontex.europa.eu](http://www.frontex.europa.eu)

ყველა მოქალაქისთვის, დისკრიმინაციის წინააღმდეგ მიმართული კანონმდებლობა და უმცირესობათა პოლიტიკა.

სტანდარტული ფორმატი მესამე ქვეყნის მთავრობას იწვევს სტრუქტურულ „ვიზის ლიბერალიზაციის დიალოგში“ ევროკავშირთან, რაც მოიცავს საკითხთა სრულ სპექტრს. საკითხები ჩამოთვლილია სტრატეგიულ დოკუმენტებში: „ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა“ (მოლდოვასა და უკრაინის-თვის; პროცესში ჩართვა შეუძლიათ აღნიშნული საკითხით დაინტერესებულ დანარჩენ აღმოსავლეთ პარტნიორებს), „ვიზის ლიბერალიზაციის საგზაო რუკა“ (დასავლეთ ბალკანეთის ხუთი ქვეყნისთვის, რომლებსაც მიენიჭათ უფიზო მიმოსვლის უფლება და კოსოვოს მიმართულებისთვის უფიზო მიმოსვლისკენ) და „ერთობლივი ნაბიჯები“ (შეთანხმება რუსეთთან).

პროცესი გამიზნულია მესამე ქვეყნების ურთიერთობათა გაღრმავებისთვის ევროკავშირთან, რაც ეფუძნება ვიზის ფასილიტაციისა და რეადმისიის ხელშეკრულებებს (რომელთა ხელმოწერა და წარმატებული განხორციელება ვიზის ფასილიტაციის პროცესის წამოწყების წინაპირობაა). პროცესი გულისხმობს პარტნიორი ქვეყნის კანონმდებლობის, ინსტიტუციური მოწყობის (სააგენტოთაშორის თანამშრომლობის მექანიზმების) და სამოქმედო პრაქტიკის შესწავლას.

სამოქმედო გეგმებში მონიშნული ეტაპობრივი ამოცანები გამიზნულია ნაციონალურ კანონმდებლობასა და აცქეუს ცომმუნაუტაირე-ს შესაბამის ნორმებს შორის განსხვავებათა აღმოსაფხვრელად და სამიზნე ქვეყნის ადმინისტრაციისა და საველე სამსახურების შესაბამისობაში მოსაყვანად როგორც საზღვრის და მიგრაციის კონტროლის, ასევე ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ეფექტური ბრძოლის დადგენილ სტანდარტებთან.

თუმცა, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან ვიზის ლიბერალიზაციის მიმდინარე პროცესი განსხვავდება ვიზის ლიბერალიზაციის მანამდე არსებული პრეცედენტებისგან – სამოქმედო გეგმები სადღეისოდ გაფორმებულია უკრაინასა და მოლდოვასთან, ხოლო საქართველოს შემთხვევაში, მოსალოდნელია ევროკავშირის საბჭოს მიერ შესაბამისი სამოქმედო გეგმის წარდგენის 2012 წლის ბოლოს.

დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებისგან განსხვავებით, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მისამართით ევროკავშირთან მიერთების რეალური პერსპექტივა არასოდეს გაცხადებულა, რაც ნაშინავს, რომ ძლიერი პოლიტიკური „იდეა-ლოკომოტივი“ არ არსებობს. ამავე დროს, წაყენებული პირობების შესრულების პროცესი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის ორ ფაზად დაიყო, მაშინ, როდესაც დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებს ყველა საკითხზე ერთდროულად შეეძლოთ მუშაობა.

სამოქმედო გეგმები შედგება პირველ ფაზაში გასატარებელი საკანონმდებლო პროცესისგან, რაც გულისხმობს ქვეყნების მიერ ყველა შესაბამისი კანონის, სტრატეგიისა და გეგმის მიღებას, რაც მეორე ფაზაში მათ განხორციელებას ითვალისწინებს. აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მთავრობები რეგულარულად ანგარიშვალდებული არიან ევროკომისიის წინაშე, რომელიც, თავის მხრივ, თვალყურს ადგენებს მიღწეულ პროგრესს, ახორციელებს ადგილზე ვიზიტებს სიტუაციის შეფასების მიზნით, მათ შორის, წევრი ქვეყნების ექსპერტთა მონაწილეობით, და ადგენს მიღწეული შედეგების ამსახველ ანგარიშებს. პირველი ეტაპის მიზნებიდან მეორეზე წარმატებული გადასვლა დამოკიდებულია კომისიის მიერ საბჭოსთვის განხეულ პოზიტიურ რეკომენდაციაზე და საბჭოს შესაბამის გადაწყვეტილებაზე საპასუხოდ.

შეფასების პირველი ეტაპის წარმატებულად გასავლელად მესამე ქვეყნების მთავრობებმა უნდა შეინარჩუნონ მიმღებლური დამოკიდებულება ევროკომისიის შეკითხვებისადმი, რომელიც ძირითად ეხება კომისიის მიერ იდენტიფიცირებულ „ყურადღებამისაქცევ“ // „საყურადღებო“ სფეროებს. ეს მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ევროკავშირის წევრი ქვეყნების წინაშე წარდგენილ ანგარიშში კომისიამ უნდა მოახდინოს ნათელი დემონსტრირება იმისა, რომ საბოლოოდ, მოცემული ქვეყნის მოქალაქეთა გათავისუფლება ევროკავშირის ტერიტორიაზე შესასვლელად აუცილებელი სავიზო ვალდებულებისგან არ გამოიწვევს არარეგულარული მიგრაციის ზრდას ან სხვა არასასურველ შედეგებს.

პროცესის მეორე ეტაპი მოიცავს სამიზნე ქვეყნის როგორც ცენტრალური სააგენტოების, ასევე მიგრაციისა და სასაზღვრო სამსახურების პრაქტიკული შესაძლებლობების შეფასებასა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ აღნიშნული საკითხების კიდევ უფრო ღრმა შესწავლას. კომისიის და წევრი

ქვეყნების მიერ მოვლინებულ ექსპერტთა მიერ ტარდება შეფასებები ადგილზე, რის შედეგადაც ხდება მთავრობათა მიერ წარდგენილი ინფორმაციის გადამოწმება და განსაკუთრებულად ფასდება ქვეყნის მიერ დანერგილი მექანიზმების ეფექტურობა.

აღნიშნული ორივე ფაზა საჭიროებს სახელმწიფო ინსტიტუტების ადეკვატურ ორგანიზებას და აქცენტების გარკვეული მიმართულებით გადანაცვლებას. პირველ ეტაპზე ფასდება, რამდენად ქმედითუნარიანია მთავრობა, შეიმუშავოს და მიიღოს შესაბამისი კანონმდებლობა, აამოქმედოს აუცილებელი რესურსები და განახორციელოს სტრატეგიული დაგეგმარება. რეკომენდებულია ასევე საკოორდინაციო ცენტრის შექმნა. საკოორდინაციო ორგანოს ესაჭიროება, ერთი მხრივ, სწრაფი ხელმისაწვდომობა სტატისტიკურ ინფორმაციასა და მიღწეული შედეგების ამსახველ მონაცემებზე, რასაც მას მიაწვდიან სამინისტროები და აღმასრულებელი სააგენტოები; მეორე მხრივ, იგი უნდა იყოს აღჭურვილი საკამარისი უფლებამოსილებით, რათა უზრუნველყოს სამთავრობო უწყებების შესაბამისობა დაკისრებულ ამოცანებთან. ცენტრალური ევროპისა და დასავლეთ ბალკანეთის სახელმწიფოთა გამოცდილება ცხადყოფს, რომ სასურველია, აღნიშნული პასუხისმგებლობა დაეკისროს ცენტრალურ სამინისტროს (მაგ., შინაგან საქმეთა სამინისტროს, ევროპის საკითხებზე მომუშავე სამინისტროს) ან პრემიერ-მინისტრთან ან მინისტრთა კაბინეტთან არსებულ ორგანოს.

საპასუხოდ, მეორე ეტაპზე იკვეთება მნიშვნელობა აღმასრულებელი შესაძლებლობებისა, რასაც ესაჭიროება ცენტრალური მაკოორდინირებელი ორგანო, რომელიც კოორდინაციას გაუნებს საველე (სასაზღვრო, მიგრაციის, საბაზო და პოლიციის) სამსახურების საქმიანობას. თუ ეს ვალდებულება შინაგან საქმეთა სამინისტროს დაეკისრება, მას უნდა გააჩნდეს აღნიშნული ფუნქციის ჯეროვნად შესრულებისთვის აუცილებელი შესაძლებლობები, რაც, უმრავლეს შემთხვევაში, გულისხმობს, რომ სამინისტროში უნდა ჩატარდეს რესტრუქტურიზაცია და იგი უნდა გარდაიქმნას სამოქალაქო სტრუქტურად, რომელსაც ექნება გაფართოებული ანალიტიკური და მენეჯერული შესაძლებლობები.

# ნაცილი III

## ადვოკატურის სამიზნებთან მუშაობა

პუბლიკაციის ამ ნაწილში მოცემულია ზოგადი სახელმძღვანელო მითითებები ადვოკატურის სტრატეგიებისა ფორმულირებისა და განხორციელების საკითხებში, რომელიც მიმართულია ევროკავშირსა და მესამე ქვეყნებს შორის ვიზის ლიბერალიზაციის პროცესში ჩართულ დაინტერესებულ მხარეთა სხვადასხვა კატეგორიისკენ. ეფექტური ადვოკატურის სტრატეგიის პარამეტრებისა და იმ კითხვების გამოკვეთის საფუძველზე, რომლებსაც პასუხი უნდა გაუცეს აღნიშნული სტრატეგიის შესაბამისობაში მოსაყვანად კამპანიის სამიზნე აუდიტორიასთან და ამოცანებთან, აღსანიშნავია შემდეგი ოთხი სხვადასხვა სამიზნე აუდიტორია:

- ▶ ევროკავშირის ინსტიტუტები;
- ▶ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მთავრობები;
- ▶ ბრიუსელის და ნაციონალური მას მედია და საზოგადოებები;
- ▶ იმ ქვეყნების მთავრობები და საზოგადოებები, რომლებიც ჩართულნი არიან ევროკავშირთან ვიზის ლიბერალიზაციის პროცესში.

სახელმძღვანელო მითითებები არ წარმოადგენს მზა გადაწყვეტილებების პაკეტს, ისინი უფრო მეტად ემსგავსება ველის ზოგად კვლევას, რომლის სწორად გადავლა აუცილებელია კონკრეტული გზავნილის სათანადო აუდიტორიასთან ეფექტურად მისატანად.

(i) ნარჩატებული ადვოკატურის სტრატეგიის ელემენტები: როგორც მოვახდიოთ გავლენა?

ადოკატურის სამიზნეს წარმოადგენს დაინტერესებული მხარეები, რომლებიც მოტივირებულნი არიან, ცვლილება შეიტანონ არსებული სახელმწიფო პოლიტიკის კურსში. სამოქალაქო ადვოკატები დაინტერესებულნი არიან

განსხვავებული შედეგების მიღწევაში, როგორიცაა საზოგადოებრივი ყურა-დღების მიპყრობა სოციალური პრობლემისადმი გადაწყვეტილების მიმღებებზე ზემოქმედების გზით, რაც ასახება მათ მიერ წარმოებულ მიმდინარე ან დაგეგმილ პოლიტიკაზე აქცენტირებითა და გამოვლენილი პრობლემის გადაწყვეტის ყოვლისმომცველი გზების შეთავაზებით.

კერძო სექტორის ან ინტერესთა ჯგუფის ლობირებისგან განსხვავებით, რომელიც ქმაყოფილდება კონკრეტული ინტერესის მატარებელი ჯგუფის წარმომადგენით და იმ საბოლოო შედეგს მიღწევით, რომელიც სარგებლოს მომტანია მხოლოდ ამ ჯგუფისთვის, სამოქალაქო ადვოკატურა თავის საქმიანობას შეინიშნება ან მიზეზის ირგვლივ, რომელიც, უპირველესად, ლირიზულებათა სისატემას ეფუძნება. ამდენად, სამოქალაქო დამცველები დაინტერესებულნი არიან პოლიტიკის უწყვეტი გაუმჯობესებით მანამ, სანამ იგი არ დააკმაყოფილებს წინასწარ განსაზღვრულ ამოცანებს. მეტიც, ხშირად ისინი ცდილობენ, თავად პოლიტიკის წარმოების მექანიზმებიც კი უფრო გმჭვირვალე და სხვა-დასხვა სოციალური ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი გახადონ.

ადვოკატურული საქმიანობის წარმატებისთვის აუცილებელია, შესწავლილი იქნეს მოცემული საკითხის ირგვლივ არსებული კონკრეტული გარემო. აღნიშნული პოლიტიკური გარემო მოიცავს, სხვა ასპექტებთან ერთად, სამართლებრივ და ინსტიტუციურ სტატუს-კვოს; პროცესს, რომლის მიხედვით უნდა წარიმართოს ცვლილებების შეტანა; და ბოლოს, კონტექსტს, რომელშიც იხილება კონკრეტული საკითხი. კონკრეტული პოლიტიკური შედეგის მიღებაზე ორიგენტირებული სტრატეგიის დაგევმარებისას, პირველი აუცილებელი ელემენტი მოცემულ პოლიტიკურ გარემოში არსებული ვითარების სწორი განსაზღვრაა. ამოცანა იწყება იმის დადგენით, პრობლემის როგორი ხედვა აქვთ თავად გადაწყვეტილების მიმღებებს.

მოცემულ სფეროში ახლად მოსულთათვის თავდაპირველი ამოცანა არსებული კონტექსტის გაცნობაა, რისთვისაც პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებს:

- ▶ პოლიტიკის რომელ სფეროს განეკუთვნება სამიზნე საკითხი?
- ▶ რომელი კანონდებლობა და რა დონეზე არეგულირებს მას? რამდენად ხელშემკვრელია კანონი?

- ▶ რომელი უწყებებია პასუხისმგებელი სამართლებრივი ცვლილების ინიცი- რებაზე, განხორციელების მონიტორინგსა და შედეგების შეფასებაზე პო- ლიტიკის სფეროში?

მოცემულ კითხვებზე პასუხები შექმნის ზოგად სურათს სამიზნე საკითხის ირგვლივ მოცემულ მომენტში. მომდევნო ნაბიჯი გულისხმობს საკითხის დი- ნამიკის ანალიზს, რაც აუცილებელია გადაწყვეტის გზების შეთავაზებული პაკეტის ირგვლივ კონსენსუსის სიმყარის შესაფასებლად და ცვლილების მი- ღწევის საგარაუდობის დასადგენად.

სახელმწიფო პოლიტიკის სფეროში ადვოკატურა დაინტერესებულ მხარეებს საქმაოდ ზოგადად მოიაზრებს და ყურადღებას უფრო მეტად კონკრეტული ინდიკატორებისკენ მიმართავს, რომლებიც განსაზღვრავს დამოკიდებულე- ბას მოცემული პრობლემის ირგვლივ შემუშავებული პოლიტიკისადმი. გადა- წყვეტის ახალი (მეთავაზებული) გზის მიმართ მიმღებლობის შესაფასებლად, ამდენად, უნდა დადგინდეს, რამდენად ეფექტურია არსებული ზომები.

პოლიტიკაზე პასუხისმგებელი ინსტიტუტები (მთავრობები, ნაციონალური პარლამენტები და ეკონოკავშირის ინსტიტუტები), პირველ რიგში, დაინტე- რესებულნი არიან იმით, თუ რამდენად ამართლებს მიღებული ზომები მათ მოლოდინს დაგეგმილ ცვლილებასთან დაკავშირებით (რამდენად ემსახურე- ბან ისინი დაგეგმილ მიზანს?) და რამდენად ეფექტურია ისინი (რამდენად ხარჯთეფექტურია დაგეგმილი ზომები სასურველი შედეგის მისაღწევად?) ამდენად, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს თავდაპირველი ამოცანები, რო- მელთა მიღწევაც პოლიტიკაზე პასუხისმგებელ პირებს სურდათ მოცემული ზომების განხორციელების შედეგად.

თუმცა, სამოქალაქო დამცველები, ასევე ცვლიან თავად პრობლემის არ- სის დამცვიდრებულ გაგებას, რაც, არცთუ იშვიათად, ზემოთ აღნიშნულ პირთათვის მიმდინარე პოლიტიკის გამართლებაა. დამცველებმა შეიძლება საჯაროდ აღნიშნონ ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები, რაც ღია და დე- მოკრატიული მმართველობის სისტემაში ნებისმიერი ეფექტური პოლიტიკის თანამდევი, გადაწყვეტილების მიმღებთა ინფორმირებულობისკენ მიმართუ- ლი ზომებია.

პირველ რიგში, აუცილებელია შეფასება იმისა, რამდენად კვლავ ჭეშმარიტია დაშვებები, რომლებსაც ეფუძნება პრობლემის გადაწყვეტის მიზნით მიღებული ზომები; სხვა სიტყვებით, ხომ არ შეცვლილა „სიტუაცია ადგილზე“ იმდენად, რომ საჭიროებდეს ამ დაშვებათა გადასინჯვას. მეორე მხრივ, პოლიტიკზე პასუხისმგებელი პირებისთვის შეიძლება დემონსტრირება იმისა, რომ თავდაპირველი პოლიტიკის განხორციელებას გაუთვალისწინებელი შედეგები მოჰყვა. და ბოლოს, არსებული პოლიტიკა შეიძლება აღარ იყოს სასურველი, ვინაიდან, შესაძლოა, ენინალმდეგებოდეს მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ღირებულებებს ან ინტერესებს, რომლებიც განპირობებულია ახალი ეკონომიკური გარემოებებით ან უფრო ფართო პოლიტიკური კონტექსტის მიმართ საზოგადოებრივი დისკურსის ცვლილებით.

ეფექტური ადვოკატურა გულისხმობს სიტუაციის გულმოდგინე ანალიზს და პოლიტიკის ცვლილების საჭიროების შეფასებას. ეს დელიკატური აქტია, რომელიც ფაქიზ ბალანსირებას მოითხოვს. ერთი მხრივ, აუცილებელია, დაცული იყოს ღირებულებათა თანმიმდევრულობა და არსებობდეს მკაფიო გზაცნილი, რათა ყველა დაინტერესებული მხარე მტკიცედ იყოს დარწმუნებული ცვლილების ინიციატორთა ავტორიტეტულობაში. მეორე მხრივ, ეფექტურობის მისაღწევად, გზაგნილი მიწოდებულ უნდა იქნეს იმგვარად, რომ საუკეთესოდ შეესაბამებოდეს წარმოდგენლი ჯგუფების ცვალებად საჭიროებებს, თავად პრობლემის უახლეს ინტერპრეტირებას და პოლიტიკის რეფორმის ახლად გამოვეთოლ შესაძლებლობებს. ამდენად, სახეზეა ყოვლასმომცველი სტრატეგიის საჭიროება მკაფიო მიზნის ადვოკატირებისთვის ცვალებადი გარემოებების პირობებში, რაც განაპირობებს მაქსიმალურად სასარგებლო შედეგების მიღწევას, შეთავაზებული გზების გრძელვადიანი მდგრადიბის უზრუნველყოფის პარალელურად.

### (iii) ადვოკატურის სტრატეგიის შემუშავება ვიზის ლიპარალიზაციის ხალხურობისთვის ევროპავილის დონეზე

მესამე ქვეყნების მოქალაქეთა ახალი კატეგორიებისთვის ევროკავშირის ტერიტორიაზე შეუფერხებლად დასაშვებად შესაძლებლობათა გაფართოვების-თვის მოღვაწე სამოქალაქო დამცველებს პოლიტიკის შედარებით ახალ სფე-

როში უწევთ მუშაობა. ამდენად, ადვოკატურაში ჩართულმა პირებმა უნდა შეიმუშავონ საუკეთესო ტექნიკა თავიანთი გზაგნილის გასაუდერებლად და ამასთან, თავი აარიდონ ფუნდამენტურ შეცდომებს, რაც არსებული ვითარების ცალსახად კრიტიკულად განსჯის გარდაუვალი შედეგია.

სავიზო პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილებებს ევროკავშირში წევრი ქვეყნები თავად იღებენ; ამდენად, ევროკავშირის შესაბამის გადაწყვეტილებებზე გავლენას ახდენს მოცემული საკითხის ირგვლივ წევრი ქვეყნების პოზიცია. პოლიტიკის ეს სფერო მჭიდროდაა დაკავშირებული სხვა საკითხებთან, რომელიც მიიჩნევა ძალზე მგრძნობიარედ როგორც ევროკავშირის ბევრი ქვეყნის მთავრობის, ასევე ამ ქვეყნების საზოგადოებათა მიერ. ეს საკითხები მოიცავს როგორც უცხოელთა უკანონო შესელისა და ბინაფრობის შეზღუდვას მათ ქვეყნებში, ასევე მიგრანტთა ინტეგრაციის პოლიტიკას და შედაუსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ზოგად საკითხებს.

და ბოლოს, ადამიანის ძირითად უფლებებთან დაკავშირებული რიგი საკითხებისგან განსხვავებით (თავშესაფარი, დისკრიმინაციის დაუშვებლობა), გადაწყვეტილებები უცხოელთა ქვეყანაში დაშვების ლიბერალიზაციის შესახებ ატარებს ადმინისტრაციულ და ნაწილობრივ, დისკრეციულ ხასიათს და მათში ცვლილების შეტანა ადამიანის უფლებათა დამცველების მიერ ნაკლებად სავარაუდოა.

სავიზო პოლიტიკის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მახასიათებელი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ადვოკატურის ეფექტური სტრატეგიის შემუშავებისას.

ქვემოთ მოცემული სახელმძღვანელო მითითებები ადვოკატებს დაეხმარება პოტენციური საფრთხეების გაცნობიერებასა და სამიზნე აუდიტორიის სწორად განსაზღვრაში:

► ჩამოყალიბეთ და შეინარჩუნეთ თქვენი პოზიცია, რომელიც ეფუძნება გარკვეულ ღირებულებებს ან გამოხატავს კონკრეტული საჭიროების მქონე ჯგუფის ინტერესებს

უმთავრესი დაბრკოლება, რომელიც მიგრაციისა და სავიზო პოლიტიკის ირგვლივ მიმდინარე დებატებში ახალი აქტორების – ევროკავშირს გარეთ არსე-

ბული ანალიტიკური ცენტრების – ეფექტურ ჩართვას ელობება, მათი არასაკ-მარისი ავტორიტეტულობაა. კონკრეტული პოზიციის გამოკვეთა განხილვებში ჩართული ახალი მონაწილის მიერ გარკვეულ დროს მოითხოვს. პირველი შთა-ბეჭდილება ძალზე მნიშვნელოვანია და დასაწყისშივე მეაფიო ფორმულირება იმისა, თუ რა ღირებულებებს იცავს დებატებში ჩართული ახალი მონაწილე და რომელ ჯგუფებს ესაჭიროება დახმარება, არსებით მნიშვნელობას ატარებს მისი ეფექტური პოზიციონირებისთვის. აღნიშნული პოზიციონირება უნდა ემყარებოდეს დაინტერესებულ მხარეთა მოუკერძობელ ანალიზს, ე.ი. გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელი პირებისა და მოსახლეობის სამიზნე ჯგუფების პოზიციათა ზედმინებით გაზრებას; და ასევე, შეფასებას იმისა, თუ როგორ ასაბუთებენ ეს უკანასკნელნი თავიანთ პოზიციებს.

ასევე, უნდა ჩატარდეს კიდევ ერთი ანალიზი; კერძოდ, გამოვლინდეს შე-საძლო კავშირები ან პარალელები დღის წესრიგში მდგარ საკითხსა და იმ არგუმენტებს შორის, რომლებიც წარმატებით გამოიყენეს ადრე წარმობულ დებატებში. მაგალითად, შესაძლოა, მიზანშეწონილი აღმოჩნდეს კონკრეტული ჯგუფისადმი სამართლიანი მოპყრობის პრინციპზე აპელირება, იმის აღნიშვნით, რომ ეს ადამიანები იმსახურებენ ისეთივე არადისკრიმინაციული მიღებით მოპყრობას, როგორიც გამოიყენეს მსგავსი კატეგორიის სხვა ჯგუფის მიმართ.

► შეისწავლეთ თქვენი ოპონენტების პოზიცია და სადაც შესაძლებელია, იპოვეთ ინტერესთა გადაკვეთის წერტილი

ადგომენტურის სტრატეგიის მნიშვნელოვანი ელემენტი უნდა გახდეს საპირისპირო არგუმენტების შესუსტება ან მინიმუმამდე დაყვანა, მით უმეტეს, თუ ისინი უკავშირდებიან ფუნდამენტურ სოციალურ ღირებულებებს ან ასახვენ კონკრეტულ ძირულ საზოგადოებრივ განწყობას. თქვენი საკითხის სწორ კონტექსტში წარმოდგენა თავიდან აგარიდებთ ფუჭ და ხშირად შეურიგებელ კამათს ფუნდამენტურ ღირებულებათა ირგვლივ და ამის სანაცვლოდ, დისკუსია წარიმართება უფრ კონკრეტულ, ქმედებაზე ორიენტირებულ დონეზე, სადაც კომპრომისის ალბათობა გაცილებით მეტია.

მაგალითად, რომელი მიღები გამოდგება დასაპირისპირებლად ვიზის ლიბერალიზაციის საწინააღმდეგო პოზიციასთან, რომლის მომხრენი ამტკიცებენ,

რომ უვიზო მიმოსვლის შემოღება გაზრდის უცხო ქვეყნიდან შემოსული ორგანიზებული დანამაულის მაჩვენებლებს?

იმ არგუმენტთან შეწინააღმდეგების ნაცვლად, რომ უსაფრთხოება უმნიშვნელოვანესი საკითხია მიგრაციის პოლიტიკის შემუშავებისას (და მართლაც, უსაფრთხოების საკითხი ნაციონალური და ევროკავშირის შესაბამისი პოლიტიკის საფუძველს წარმოადგენს), ლიბერალიზაციის მხარდაჭერებს შეუძლიათ, გამოიყენონ ეს არგუმენტი უსაფრთხოების მნიშვნელობის ხაზგასას-მელად და გამოიტევონ ვარაუდი, რომ შეთავაზებული ცვლილება – რომელიც, ბუნებრივია, მოაზრებულ იქნება ევროკავშირსა და მესამე ქვეყნებს შორის სასაზღვრო უსაფრთხოებისა და პოლიციის სფეროში თანამშრომლობის თაობაზე დადგებულ შეთანხმებებთან კავშირში – ფაქტობრივად, გაზრდის უსაფრთხოების ხარისხს. ამით ლიბერალიზაციის მომზრები უშუალოდ დაუპირისპირდებიან ოპონენტების არგუმენტს და გაანეიტრალებენ მას.

#### ► დაამყარეთ კავშირი არსებულ ინიციატივებთან და რეკომენდაციები მიმართეთ შესაბამისი დაინტერესებული მხარეებისკენ

არსებულ პოლიტიკაში ცვლილების შეტანა ეფექტური ადვოკატურის თავდაპირველი ამოცანაა; ამდენად, პროცესში უნდა ჩაერთონ პოლიტიკის შემუშავებაზე უშუალოდ პასუხისმგებელი უწყებები. აღნიშნულ აქტორთა გამოვლენის შემდეგ ადვოკატურის სახელით გაუძლერებულ გზავნილში უნდა შეფასდეს და მადლიერებით აღინიშნოს მათი უახლესი საქმიანობა. ადვოკატურის წარმომადგენლებმა სრულად უნდა გამოავლინონ ნაბიჯები, რომლებიც გადაიდგა პასუხისმგებელი ორგანის მიერ და დეტალურად შეისწავლონ, თუ რისი განხორციელება აქვს მას დაგეგმილი ახლო მომავალში. ამის გარეშე ჩნდება საშიშროება, რომ ადვოკატურამ დაინტერესებულ აუდიტორიას შესთავაზოს ის ზომები, რომლებიც უკვე განხორციელდა ან იგეგმია; შედეგად კი ნაწილობრივ ან სრულად უგულებელყოს შესაბამისი უწყებების პოზიცია.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ შეთავაზებული ცვლილებები მხოლოდ ნაწილობრივ ემთხვევა გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს მიერ დაგეგმილ ან განხორციელებულ ზომებს, ამ უკანასკნელთა წვლილის პოზიტიურ ასპექტში აღნიშვნა ადვოკატებს წარმო-

აჩენს, როგორც ექსპერტებს და შედეგად, მათ მეტი შანსი აქვთ, მოიპოვონ წამყვანი დაინტერესებული მხარის მხარდაჭერა. სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან შეთავაზებული წინადაღებები უფრო ადვილად იქნება გაზიარებული, თუ ისინი წარმოდგენილი იქნება, როგორც არსებული პოლიტიკის გაღრმავება ან განვითარება, ან დაგეგმილი პოლიტიკის გადახედვა; რაც ნათელი დადასტურება იქნება იმისა, რომ საკითხები, რომელებიც ადვოკატურის წარმომადგენელთა სამიზნეს წარმოადგენს, კარგად არის ცნობილი გადაწყვეტილების მიმღებთათვის და ცვლილება, რომელსაც ისინი საზოგადოებას ამ მიმართულებით სთავაზობენ – ამ საკითხთა შესწორება ან გაუმჯობესებაა.

ამის საპირისპიროდ, არსებული ინიციატივების არ აღნიშვნა აკნინებს ადვოკატურის ძალისხმევას, ვინაიდან იქმნება შთაბეჭდილება, რომ სამოქალაქო საზოგადოება უგულებელყოფს აქამდე ჩატარებულ მუშაობას, ჯეროვნად ვერ აცნობიერებს საკითხის კომპლექსურობას ან, უბრალოდ, არ ჩაუტარებია ზოგადი კვლევა, რომელიც უნდა ჩაატაროს მეტ-ნაკლებად ავტორიტეტულ-მა ადვოკატურულმა ჯგუფმა. მაშინ, როდესაც პროფესიონალიზმისა და ექსპერტული ცოდნის დემონსტრირებისთვის საჭიროა საკითხის სრულყოფილი კვლევის ჩატარება, მისი სამართლებრივი ასპექტების შესწავლას კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ცვლილების მიზნით მიღებული ყველა გადაწყვეტილება საერთაშორისო და ევროკავშირის სამართლის შესაბამის ნორმებს უნდა ეფუძნებოდეს.

#### ► სწორად შეარჩიეთ „შესვლის პუნქტი“ და დრო

ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის ვიზის ლიბერალიზაციის პროცესი დაყოფილია ეტაპებად, რომლებიც, თავის მხრივ, აღნიშნულია შეუალებული ამოცანებით. ამ ამოცანების შესრულება აუცილებელი წინაპირობა უწყვეტი პროგრესის უზრუნველყოფის მიზნით საბოლოო მიზნის მისაღწევად. კომისიის ანგარიშებისა და ევროპარლამენტის გადაწყვეტილებათა გამოქვეყნება, ევროკავშირის ოფიციალური პირებისა და წევრი ქვეყნების დიპლომატების მიერ გაკეთებული განცხადებები – ყოველივე ეს წარმოადგენს ხელსაყრელ საშუალებას სამოქალაქო საზოგადოების აქტორებისთვის, გამოთქვან თავიანთი პოზიცია, გააკეთონ შენიშვნები და გამოკვეთონ სასურველი საკითხები.

მსგავსი „ნიშანსვეტები“ წარმოადგენს ლოგიკურ „შესვლის პუნქტებს“ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც მესამე ქვეყნების მთავრობების, ცალკეული სამინისტროებისა და სააგენტოთა მიერ მიღწეული პროგრესის მინოტორინგს აწარმოებენ, რაც მათ ოფიციალურ ანგარიშებსა და შეფასებებში აისახება. ეს, სულ ცოტა, ორ მიზანს ემსახურება: არსებული სიტუაციის ირგვლივ უფრო სრული სურათის წარდგენა ევროკავშირისთვის, რომელშიც ასახულია არა მხოლოდ სამიზნე ჯგუფების შეხედულებები, არამედ, ასევე, წარმოდგენილია ემპირიული მონაცემები ადგილზე ჩატარებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით; და მესამე ქვეყნების მთავრობის საზოგადოებისადმი ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა უფრო აქტიური ქმედების მოწოდებით იმ კონკრეტულ სფეროში, რომელიც გაკრიტიკებულია ევროკომისიის შეფასებაში ან ოფიციალურ განცხადებაში.

სამოქალაქო საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ გულმოდგინედ უნდა დაგეგმოს დებატებში ჩართვის პროცესი და მიიღოს ორი გადაწყვეტილება: პირველი, ვისკენ უნდა იყოს მიმართული ჩარევა? და მეორე, როდისაა საუკეთესო დრო ჩარევის განსახორციელებლად?

„შესვლის პუნქტის“ შერჩევისას ევროკავშირის ინსტიტუტებისა და სხვა მონაცილეთა მიმღებლობა სამოქალაქო საზოგადოების შენატანის მიმართ უნდა შეფასდეს იმის მიხედვით, რამდენად აქვთ აღნიშნულ აქტორებს სამუშაო დღის წესრიგში სასურველი საკითხების გამოკვეთის შესაძლებლობა.

ევროპარლამენტარები შედარებით ხელმისაწვდომნი არიან და ხშირად ავლენენ მზაობას, საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე წამოსწორ სამოქალაქო საზოგადოების მიერ აქცენტირებული საკითხები. თუმცა, პარლამენტის ხმა ყველაზე ძლიერად ისმის მაშინ, როდესაც განსახილველი თემა ღირებულებებსა და ნორმებს ეხება. მომხსენებლის (თუ უკვე დანიშნულია), ცალკეული პარლამენტარების ან პოლიტიკური ჯგუფის ჩარევა სარგებლის მომტანია პროცესის ადრეულ ეტაპზე, პრობლემებთან შეჯახებისას ან ჩიხში შესვლისას.

თუმცა, მოლაპარაკებათა პროცესში უშუალოდ ჩართულნი არიან კომისია და საბჭო; ისინი აწარმოებენ მესამე ქვეყნის (ქვეყნების) მიერ განხორციელებული პროგრესის მონიტორინგს და შეფასებას და ამდენად, სწორედ ისინი

შეიძლება აღმოჩნდნენ ყველაზე უპრიანი სამიზნები იმ შემთხვევაში, თუ ამოცანა, მაგალითად, მდგომარეობს ტექნიკური დახმარების საჭიროებაში მოცემულ სფეროში.

### (iii) მუშაობა წევრი ქვეყნების მთავრობებთან

ევროკავშირის წევრი ქვეყნების მთავრობები ევროკავშირის სავიზო პოლიტიკის სფეროს უმნიშვნელოვანესი მოთამაშები არიან, თუმცა სულაც არ ნარმობადგენენ იოლ სამიზნეს პირდაპირი ადვოკატურის საწარმოებლად ვიზის ლიბერალიზაციის საკითხში. სირთულე განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორის კომბინაციით, როგორიცაა მთავრობათა არცთუ იშვიათად არაკონსტრუქციული როლი მიმდინარე პროცესში; მათი ვალდებულება, მოიპოვონ საკუთარი მოსახლეობის მხარდაჭერა სასურველი პოლიტიკის გასატარებლად; და ბოლოს, სამოქალაქო დამცველებს (განსაკუთრებით, ევროკავშირს გარე ქვეყნებში არსებულ) და ევროკავშირის წევრ მთავრობათა შორის ურთიერთობათა არხების უსაფრთხოება.

უპირველეს ყოვლისა, მესამე ქვეყნების მთავრობებთან მოლაპარაკებათა (ხელშეკრულებები რეადმისიისა და ვიზის ფასილიტაციის შესახებ, ვიზის ლიბერალიზაციის პროცესი) განსაზღვრული მანდატით წარმოების პროცესში ევროკომისია მესამე ქვეყნებს აწოდებს ინფორმაციას მიღწეული პროგრესის შესახებ. წევრი ქვეყნები, შესაბამისად, კომისიის რეკომენდაციების თანახმად მოქმედებენ. ეს ნიშნავს, რომ მათ კონკრეტული საკითხის შესახებ თავიანთი პოზიციის გახმოვანება შეუძლიათ მხოლოდ მაშინ, როდესაც კომისია და საბჭო იხილავენ, შესთავაზონ თუ არა მესამე ქვეყანას „ვიზის ლიბერალიზაციის დიალოგში“ ჩართვის შესაძლებლობა. თუმცა, მათ მაშინაც კი არ მოეთხოვებათ, ახსნან ან დაასაბუთონ თავიანთი პოზიცია.

განხილვის მომდევნო ეტაპები დგება მაშინ, როდესაც წევრ ქვეყანას გადაეცემა პირობების კატალოგი (ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა (action plan) ვიზის ლიბერალიზაციის საგზაო რუკა (roadmap), როდესაც პროცესი გადადის ერთი დონიდან მეორეზე, და, როდესაც, საბოლოოდ, მიღებულ უნდა იქნეს ვიზის მოთხოვნის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილე-

ბა. პრობლემა, რომელსაც აღნიშნული ფორმატი სამოქალაქო დამცველებს უქმნის, მდგომარეობს კონფიდენციალობაში, რომელიც თან ახლავს წევრი ქვეყნების მიერ კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღებამდე გამართულ დისკუსიებს. აღნიშნული კონფიდენციალობა განპირობებულია ვიზის ლიბერალიზაციის ოპონენტებთან საჯარო დისკუსიის გამართვის რისკის მინიმუმამდე დაყვანით და იმ საკვანძო ან მერყვევი პოზიციის მქონე წევრი ქვეყნების გამოვლენის საჭიროებით, რომელთა პოზიცია მნიშვნელოვანია, მაგრამ წინასწარ განუსაზღვრელი, რაც აუცილებელს ხდის პირდაპირი კავშირების დამყრებას ამ წევრი ქვეყნების სამინისტროებთან და საბჭოს სხდომებზე დამსწრე მათ წარმომადგენლებთან.

მეორე მხრივ, მოლაპარაკებებში კომისიის პოზიციისგან განსხვავებით, რომელიც წმინდა ტენიკურ ხასიათს ატარებს და ორიენტირებულია სამართლებრივ ასპექტებზე, თითოეული წევრი ქვეყნის პოზიცია წარმოადგენს საკვანძო სამინისტროების პოზიციების, ნაციონალური მთავრობის დღის წესრიგში მოცემული საკითხის მნიშვნელოვნობისა და იმ ყურადღების კომპლექსური ურთიერთგადაჯაჭვის პროდუქტს, რასაც საზოგადოება აღნიშნულ საკითხს უთმობს.

მაშინ, როდესაც ვიზის ლიბერალიზაციის ოპონენტი სახელმწიფოები განიხილავენ ვიზის მოთხოვნას, როგორც შიდა უსაფრთხოების რისკების შემცირების ინსტრუმენტს (ჩვეულებრივ, ეს პოზიცია შინაგან საქმეთა სამინისტროს უჭირავს), ამ პოზიციას „მერყევ“ ქვეყნებში შეიძლება დაუპირისპირდეს სხვა შეხედულებები, განმოვანებული არა მხოლოდ ადამიანის უფლებათა დამცველების, არამედ ბიზნესისა და სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტის წარმომადგენლების მიერ.

უსაფრთხოების არგუმენტს შეიძლება დაუპირისპირდეს შემდეგი პრიორიტეტები:

- ▶ კარგი სამეზობლო ურთიერთობები (რომლებიც, ხშირად, ინიცირებულია საგარეო საქმეთა სამინისტროს ან რეგიონული განვითარების ორგანო-სა და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ, რომლებიც დაინტერესებული არიან სახმელეთო საზღვრის ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებით);

- ▶ საზღვარზე შეუფერხებელი მიმოსვლის ეკონომიკური სარგებელი (შრომის, ეკონომიკის ან ვაჭრობის სამინისტრო);
- ▶ კრიმინალისა და კორუფციის შემცირება და მიმღები სახელმწიფოს იმიჯის გაუმჯობესება (ამ არგუმენტს შეიძლება მხარი დაუჭირონ სამართალდა-მცავმა სააგრძნებელმა, დისკრიმინაციის დაუშვებლობაზე მომუშავე ორ-განოებმა და კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის შემცირებით დაინტერესებულმა ადგილობრივმა პირებმა).

და ბოლოს, პირდაპირი კავშირის დამყარება წევრი ქვეყნების მთავრობებთან გართულებულია ბევრ ქვეყანაში ნაციონალურ დონეზე ეფექტური საკომუნიკაციო არხების არარსებობის გამო, რაც სამოქალაქო დამცველებს საშუალებას მისცემდა, დაკავშირებოდნენ კომპეტენტური სამინისტროს ოფიციალურ პირებს. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას იმ ქვეყნებში, სადაც დღის წესრიგში დომინირებს უსაფრთხოების საკითხები, რომლებიც, ძირითადად, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერაა აქცენტირებული. ეს უწყება რთულად ხელ-მისამვდომი იქნება არასამთავრობო აქტორთათვის და პოლიტიკის საკითხებზე დიალოგის საწარმოებლად აუცილებელი გახდება მესამე ქვეყნების შესაბამისი დაინტერესებული სახელმწიფო ინსტიტუტების ჩართვა.

საწინააღმდეგო შინაარსის არგუმენტებთან დასაპირისპირებლად, სხვა სამინისტროებისა და სახელმწიფო ორგანოების მოზიდვის ან საჯარო დებატების ტონის შეცვლის გზით, შესაძლოა უფრო ეფექტური (ან დამატებითი სარგებლის მომცემი) აღმოჩნდეს „სკეპტიკური“ ქვეყნების – რომელთა დღის წესრიგში უსაფრთხოების საკითხები დომინირებს – ოპოზიციურად განწყობილ მხარეთა ჩართვა. ეს შეიძლება განხორციელდეს მესამე ქვეყნების მთავრობათა წარმატებული საქმიანობის შესახებ სარწმუნო უახლესი ინფორმაციის მიწოდებით ევროკავშირის სკეპტიკურად განწყობილი ინსტიტუტებისა და მთავრობებისთვის, შესაბამის მთავრობათა შორის გაღრმავებული ტექნიკური თანამშრომლობის შესაძლებლობათა მოძიებითა და „სკეპტიკურ“ ქვეყნებში არსებულ შედარებით ლიოალურად განწყობილ სამოქალაქო ორგანიზაციებთან ახლო ურთიერთობების დამყარებით.

წევრი ქვეყნების მთავრობებთან პირდაპირი ურთიერთობებისთვის მეტი შესაძლებლობები არსებობს იმ ქვეყნებში, სადაც უსაფრთხოების საკითხის

მნიშვნელოვნობა ნაწილობრივ მაინც გადაწონა საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებმა, ან სადაც ნაციონალური სავიზო პოლიტიკა და პრაქტიკა საჯარო დებატების საგნია. საგარეო საქმეთა სამინისტროს როლი, რომელსაც იყი ვიზებთან და იმიგრაციის საკითხებთან დაკავშირებით ნაციონალური პოზიციის შემუშავების პროცესში თამაშობს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. საგარეო საქმეთა სამინისტროსთან დიალოგში ჩართვისთვის ხელსაყრელი მომენტი დგება მაშინ, როდესაც სამინისტრო აქცენტებს ანგარიშებს ქეყნის მიერ წარმოებული საკონსულო და სავიზო პრაქტიკის შესახებ, ნათელს ფენს რა შესაბამისი პოლიტიკის მიმდინარე და სამომავლო მიმართულებებს.

თუმცა, ბევრი წევრი ქვეყანა არ ამჟღავნებს აღნიშნულ ინფორმაციას და ამ შემთხვევაში სამქალაქო დამცველებმა უფრო ირიბ ხერხებს უნდა მიმართონ: გააშუქონ ნაციონალური სავიზო პოლიტიკის პრაქტიკული ზეგავლენა ინდივიდუალურ მიგრანტთა ყოფაზე, მოახდინონ საზოგადოების ყურადღების აქცენტირება პროცედურების დარღვევის შემთხვევებზე და აგრეთვე, იმ შემთხვევებზე, როდესაც სავიზო პროცედურათა არაფორმალური პრაქტიკა მოქალაქეთა ფაქტობრივ დისკრიმინაციას იწვევს. მსგავსი შემთხვევების მედიაში გაშუქება და საჯარო ღონისძიების ორგანიზება ექსპერტებისა და დაინტერესებულ მოქალაქეთა მონაწილეობით გააღვივებს საზოგადოებრივ ინტერესს და აღმოჩნდება სტიმული პასიურ სამთავრობო უწყებათა დიალოგში ჩასართავად.

სამქალაქო საზოგადოების აქტორები განსაკუთრებით რთულ ამოცანას ეჯახებიან მაშინ, როდესაც ცდილობენ ნაციონალურ მთავრობასთან დიალოგში ჩაბმას არახელსაყრელ მომენტში, მაგალითად, საბჭოს სხდომამდე, როდესაც პოზიციები საბოლოოდ არ არის ჩამოყალიბებული. თუმცა, როგორც ვიზების ლიბერალიზაციის ადრინდელი პროცესების გამოცდილება ცხადყოფს, ძალისხმევა მიმართულ უნდა იქნეს განსაკუთრებულად სკეპტიკურად განწყობილ სამინისტროთა ინფორმირებისა და მათთვის განსხვავებული ხედვის მიწოდებისკენ შესაბამის გადაწყვეტილებათა მიღებამდე; რათა განსახილველი საკითხი გახდეს უფრო გამჭვირვალე და დაძლეულ იქნეს მის ირგვლივ არსებული მარტივი თუ პოპულისტური არგუმენტები. მაშინ, როდესაც ქვეყანაში ადგილობრივად მიმდინარე დებატებზე – მით უმეტეს, ისეთი მგრძნობიარე საკითხების ირგვლივ, როგორიცაა ქვეყანაში შესვლისა და ინტეგრირების პოლიტიკა – გარედან ზეგავლენის მოხდენა რთულია,

ევროპული სოლიდარობის არგუმენტის აქცენტირება და ვიზების ლიბერალიზაციის სარგებლის დემონსტრირება შეიძლება ეფექტური აღმოჩნდეს შემზღვეველი ნაციონალური პოლიტიკის მხარდამჭერთა მიერ პედალირებულ, ქვეყნის უსაფრთხოების არგუმენტებთან დასაპირისპირებლად.

#### (iv) ევროპავშირის ქვეყნებში საზოგადოებრივ აზრსა და გედისათან გუშაობა

საზოგადოებრივი აზრი ევროკავშირის ქვეყნებში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დომინანტია მიგრაციის პოლიტიკის ფორმირებისას, უპირველესად, ნაციონალურ დონეზე. ალნიშნული, თავის მხრივ, გავლენას ახდენს წევრი ქვეყნების მთავრობათა პოზიციაზე სავიზო პოლიტიკასთან დაკავშირებით, რომელიც ევროკავშირის დონეზე თანხმდება. მასმედია აქ ორმხრივ ფუნქციას ასრულებს: იგი ასახავს და, ამავდროულად, ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივ განწყობაზე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ერთი მხრივ, საზოგადოებაში ემოციური მუხტის გამძაფრებისკენ მიმართული, ტაბლოიდური ტიპის „სენსაციური“ ჟურნალისტიკა აღვივებს შემზღვეველი საიმიგრაციო პოლიტიკის შემოღებისკენ მიმართულ პოპულისტურ მოწოდებებს. მეორე მხრივ, მედიის ახალი საშუალებები, როგორებიცაა სოციალური ქსელები, ბლოგები, ელექტრონული საინფორმაციო ბიულეტენები და დასაგზავნი სიები ხელსაყრელი საშუალებაა სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტთავის, რომლებსაც შეუძლიათ, თავიანთი გზავნილი მიმართონ ნებისმიერი სასურველი აუდიტორიისკენ ნაციონალურ საზღვრებს მიღმა და, ამავდროულად, მყისიერი რეაგირება მოახდინონ ახალ ტენდენციებსა თუ ინიციატივებზე. ფაქტობრივად, საკომუნიკაციო ტექნოლოგიათა დინამიკურმა ზრდამ ხელმისაწვდომი გახადა იმდენი სხვადასხვა თვალსაზრისი და ხედვის კუთხე, რომ ინფორმაციის მიმღები დგანან სერიოზული ამოცანის წინ, სწორად შეაფასონ მიღებული ინფორმაციის ხარისხი და თითოეული სიახლე შესაბამის ჭრილში გაატარონ.

მედიის ადვოკატურულ საქმიანობაში გამოყენების სირთულე მდგომარეობს სასურველი გზავნილის მისადაგებაში აუდიტორიის გათვითცნობიერებულო-

ბის დონესთან, ინტერესებსა და საჭიროებებთან. ისეთი კომპლექსური საკი-თხის შემთხვევაში, როგორიცაა სავიზო პოლიტიკა, როდესაც პოზიციების ფორმულირება და განხილვა ხდება როგორც ნაციონალურ, ასევე ეფექტური შემთხვევაში, ამოცანა კიდევ უფრო მეტად რთულდება, ვინაიდან საჭირო ხდება პარალელურ საქმიანობათა წარმოება როგორც ბრიუსელში მდებარე ინსტიტუტებთან, ასევე წევრ ქვეყნებში არსებულ მედიასთან. თითოეულ სა-მიზნეს შესაბამისი მიდგომა ესაჭიროება, რაც, უპირველესად, შესაბამისი საკომიტენიკაციო საშუალების, არგუმენტებისა და რიტორიკის ტექნიკის სწორ შერჩევას გულისხმობს.

უპირველესად, უნდა გაიმიჯნოს შემდეგი ორი ტიპის დისკურსი: ეფექტური რის ინიციატივებისა და პოლიტიკის ექსპერტულ დონეზე განხილვა ბრიუსელში და მუშაობა ნაციონალურ ინტერესებსა და გრძნობებზე ფოკუსირებულ საზოგადოებასთან.

აღნიშნული ამოცანები განაპირობებს კომუნიკაციის ფორმის სწორ არჩევანს, რომელიც საუკეთესოდ უნდა მიესადაგოს აუდიტორიის კონკრეტულ საჭიროებს. თუ მიზანი ბრიუსელში მიმდინარე განხილვებში ჩარევაა, გამოყენებულ უნდა იქნეს არა მარტო სხვადასხვა არგუმენტი (უმეტესად, ტექნიკური და სამართლებრივი), არამედ ამოქმედდეს განსხვავებული სა-მიზნე აუდიტორიებისკენ – ევროკავშირის ოფიციალური პირებისკენ, წევრ სახელმწიფოთა წარმომადგენლებისკენ, ექსპერტებისა და ევროკავშირის საკითხებით დაინტერესებული საზოგადოებისკენ – მიმართული სხვადასხვა ფორმატი.

ბრიუსელის მედიასთან მუშაობა, თავის მხრივ, ორი მიმართულებით უნდა წარიმართოს: პირველი მიზანია მმართველობის პოლიტიკური დონის (კომისიის, საბჭოს და ევროპარლამენტის) ჩართვა ისეთი საშუალებებით, როგორიცაა წერილები რედაქტორს ან პანევროპული კოალიციის სახელით დაწერილი ღია წერილები; ხოლო მეორე მიზანი უნდა ემსახურებოდეს უფრო კონკრეტული საკითხების გამოყენებისა ან საკითხის სოციალური მნიშვნელობის აღნიშვნას ისეთი ინსტრუმენტების გამოყენებით, როგორებიცაა ინტერვიუები, კონკრეტული პოზიციის გამომჩატველი სტატიები, საჯარო დებატები და პრეს რელიზები.

ბრიუსელს გარეთ არსებულმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა უნდა დაძლიონ სირთულე, რომელიც მდგომარეობს დისტანცირებულობაში ბრიუსელში მდებარე ექსპერტთა წრისა და აქტივისტებისგან, რომლებიც ბრიუსელის მედიის დასაყრდენ საკონსულტაციო წყაროს წარმოადგენენ. მათ უნდა გადაწყვიტონ, რა ურჩევნიათ: იმუშაონ „მარტო“ და თანდათანობით გამოკვეთონ თავიანთი პოზიცია კონკრეტულ კომპეტენციათა აქცენტი-რების ან მნიშვნელოვანი სამიზნე ჯგუფის ინტერესების გამოხატვის შედეგად თუ შეუერთდნენ ბრიუსელში მიმდინარე დებატებს, როგორც ერთიანი კოალიციის ნაწილი.

რასაკვირველია, კოალიციასთან შესათანხმებელ განცხადებაზე მუშაობისას არსებობს რისკი, რომ გაფერმკრთალდეს მისი მკაფიო მიზანმიმართულება და ნაწილობრივ დაიკარგოს კონტროლი სასურველი გზავნილის გავრცელებაზე; მაგრამ, სამაგიეროდ, კოალიციური მიდგომა შეიძლება სასარგებლო „შესვლის პუნქტი“ აღმოჩნდეს არენაზე ახლად გამოჩენილი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციისთვის, მისისთვის, რომ მის მიერ წარმოებულმა საქმიანობებმა შესაბამისი აღიარება მოიპოვოს. ასევე, აქამდე ნაკლებად ცნობილი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის კოალიციურ ღონისძიებაში წარმოჩენამ შეიძლება დამატებითი სარგებელი მოიტანოს, როგორიცაა სხვა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დაინტერესება თანამშრომლობისა და უფრო ხანგრძლივი პარტნიორობის დამყარების იდეებით.

თუმცა, ბრიუსელში გარკვეული ცნობადობის მოპოვების შემდეგ ორგანიზაციაში უნდა გააგრძელოს თავისი პოზიციის აქტიურად გამოხატვა ისე, რომ დაიმკვიდროს პოლიტიკური დებატების მუდმივი მონაწილის სტატუსი, რომელსაც ეთათბირებიან და განსჯის პროცესში რთავენ სხვა დაინტერესებული მხარეები და გადაწყვეტილების მიმღები პირები.

რაც შეეხება ორგანიზაციულ ფორმას, როგორც აღმოსავლეთ პარტნიორობის ერთ-ერთი ქვეყნის მაგალითი ცხადყოფს, შესაძლოა საჭირო გახდეს ორგანიზაციის კომუნიკაციის სტრატეგიის ხელახალი განსაზღვრა – თუ აქამდე მასში ადგილობრივი ხედვის მნიშვნელოვნობა დომინირებდა, ამიერიდან მან ფეხი უნდა აუწყოს ევროკავშირის დონეზე მიმდინარე პოლიტიკის წარმოების რიტმს და მიუახლოვდეს ევროკავშირის ინიციატივებს და პროცესებს,

რაც უფრო ადვილად მისაღწევია ბრიუსელში არსებული პაზის ან სულ მცირე, ბრიუსელის წარმომადგენლის ჩართვის შედეგად.

ამავდროულად, ევროკავშირს გარეთ მდებარე ქვეყნის ორგანიზაციის „ახალი“ ხედვის ფაქტი ზრდის მის ღირებულებას ექსპერტებსა და ოფიციალურ წრეებს შორის. როგორც აღნიშნულია ევროკავშირის ინსტიტუტებთან მუშაობის სახელმძღვანელო მითითებებში (იხ. (ii) ადვოკატურის სტრატეგიის შემუშავება ვიზის ლიბერალიზაციის ხელშეწყობისთვოს ევროკავშირის დონეზე), არგუმენტაციის თანმიმდევრული ხაზის განვითარება გადაჯაჭვული უნდა იყოს დაინტერესებულ მხარეთა მიერ გახმოვანებული საწინააღმდეგო არგუმენტების გაცნობიერებისა და მათი გაბათილებისკენ მიმართულ ძალისხმევასთან.

კომუნიკაციის კონკრეტული ფორმა, რომელსაც ევროკავშირის აუდიტორია მიესალმება, არის პოლიციური ბრიეფის სახით წარმოდგენილი მოკლე ანალიტიკური სტატია. სტატია უნდა შეიცავდეს პრობლემის მოკლე აღწერას, მასში უნდა იყოს მიმოხილული ბოლოდროინდელი წინადადებები და გამოვლენილი ზომები, რომელთა მიღება მიზანშეწონილია კონკრეტულ დაინტერესებულ მხარეთა მიერ მოკლე და საშუალოვადიან პერსექტივაში. რეკომენდაციები უშუალოდ უნდა ეხებოდეს ევროკავშირის კონკრეტულ პოლიტიკურ სფეროებს და ასაბუთებდეს, თუ როგორ დაეხმარება რეკომენდებული ზომები ევროკავშირს განახორციელოს თვეისი ამოცანები ან ადეკვატურად უპასუხოს ახალ საფრთხეებს, შესაძლებლობებს და ცვალებად გარემოებებს. მსგავსი არგუმენტები უნდა ეფუძნებოდეს სანდო წყაროთა მიერ მოწოდებულ სარწმუნო მტკიცებულებებს (ევროკავშირის ან ნაციონალური სტატისტიკა, სტრატეგიული დოკუმენტები, საჯარო განცხადებები).

უცხოური ორგანიზაციების მიერ სხვადასხვა წევრი ქვეყნის ადგილობრივი მედიის გამოყენების შესაძლებლობები შეზღუდულია და ამისთვის საჭიროა ევროკავშირის მოცემულ ქვეყანაში არსებულ პარტნიორთა მხარდაჭერა და, ზოჯერ, აქტიური ჩარევაც კი. ადგილობრივ აქტორებთან თანამშრომლობა სასარგებლოა პოპულისტურ არგუმენტებთან გასამკლავებლადაც, როდესაც საჭიროა სწრაფი და ძლიერი რეაქციის გამოვლენა კონკრეტული პირებისა და ორგანიზაციების მიერ, რომლებიც კარგად არიან გათვითცნობიერებულნი პრობლემის არსა და კონტექსტში და საზოგადოების ნდობით სარგე-

ბლობენ. სხვა ქვეყნების სამოქალაქო დამცველების როლი მდგომარეობს აუცილებელი ინფორმაციის მოწოდებაში და იმ შემთხვევაში, თუ ეს ფაქტი სასურველ გზავნილს გააძლიერებს, თანაავტორის ფუნქციის შესრულებაში.

ადგილობრივი აქტივისტები აშკარა უპირატესობით სარგებლობენ მაშინ, როდესაც საჭიროა პოპულისტურ დისკურსთან შეწინააღმდეგება და საკუთარი პოზიციების კონკრეტული ფაქტებით დასაბუთება.

ამ მიზნით შეიძლება რამდენიმე მიდგომის გამოყენება:

1. ყალბ დაპირებათა გაბათილება;
2. აღგუმენტაციის არასამართლიანი ფორმების გამომზეურება (რომლებიც წინასწარ განწყობებს ეფუძნება);
3. ავტორიტეტული და საერთაშორისო რეპუტაციის მქონე ინსტიტუტების პოზიციების გამოყენება (ნაციონალური მთავრობის პოზიცია, გაზიარებული სოციალური ღირებულებები, საზოგადოებრივი გამოკითხვის შედეგები);
4. მოცემული საკითხის „ადამიანური პროფილით“ წარმოჩენა რეალური ცხოვრებისეული მაგალითების გამოყენებით.

რასაკვირველია, ზემოთ ჩამოთვლილი ტექნიკური ხერხები შეიძლება გამოყენებულ იქნეს კომბინაციაშიც – იმ ზოგადი წესის გათვალისწინებით, რომ პასუხი საწინააღმდეგო არგუმენტებზე უნდა იყოს პროპორციული და მიზანმიმართული.

მაშინ, როდესაც სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია ადგილობრივ დისკურსში ერთვება, ძალზე მნიშვნელოვანია, იგი უნებლიერ არ აღმოჩნდეს საკითხთა აღრევის რისკის ქვეშ, რაც, როგორც წესი, პოპულისტური დისკურსების თანამდევი ელემენტია. მაგალითად, საზოგადოება შეიძლება კარგად ვერ ასხვავებდეს ვიზების სხვადასხვა კატეგორიას ან სულაც არ იცოდეს, რომ პასპორტში ვიზის არსებობა შეიძლება არ აღმოჩნდეს საკმარისი პირობა ევროკავშირის ტერიტორიაზე შესასვლელად (ვინაიდან მო-

გზაურობის მიზნის და საკმარისი ფინანსური სახელების არსებობის დასაბუთება კვლავ აუცილებელ პირობებად რჩება). დეტალური აღწერა იმისა, თუ რას გულისხმობს ვიზის გაცემის არსებული პროცედურა და რა შეიძლება შეცვლილიყო მომავალში, საფუძველშივე გააბათილებდა პოპულისტურ ფრაზებს, როგორიცაა „ლიბერალური სავიზო პოლიტიკის წინდაუხედაობა“, ან განცხადებებს იმის თაობაზე, რომ ლიბერალიზაცია გამოიწვევს ხელფასების კლებას და უმუშევრობას (მოკლევადიანი ვიზა არ ანიჭებს მის მფლობელს მუშაობის უფლებას).

ვინაიდან არგუმენტების და კომუნიკაციის ფორმების შერჩევისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული გავრცელებული შეხედულებები და სტერეოტიპები, მათთან წარმატებულად დასაპირისპირებლად, ევროკავშირის წევრი ქვეყნის საზოგადოებისკენ მიმართული კომუნიკაციის სტრატეგია, უმჯობესია, შეიმუშავოს წევრ ქვეყანაშივე არსებულმა პარტნიორმა ორგანიზაციებმა.

#### (v) ვიზის ლიბერალიზაციით დაიცვილ გესამი ქვეყნების მთავრობებსა და საზოგადოებრთან მუშაობა

იმ ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, რომლებსაც სურთ რეფორმების გატარება ევროკავშირის სტანდარტებთან დასაბათლოვებლად (რისი მაგალითიც არის ვიზის ლიბერალიზაციის პროცესში მიმდინარე საქმიანობები), განსაკუთრებული ნიშა უჭირავთ ჰარმონიზაციის პროცესის ხელშეწყობისკენ მიმართულ პროცესში და მათი წარმატება დიდწილადაა დამოკიდებული მთავრობის პოლიტიკურ ნებაზე, მის რესურსებსა და შესაძლებლობებზე, უზრუნველყოს რეფორმების მდგრადი მხარდაჭერა საზოგადოებაში.

სამოქალაქო ადვოკატურის ძალისხმევა სამი ტიპის აუდიტორიისკენ უნდა იქნეს მიმართული: ევროკავშირის ინსტიტუტები და წევრი ქვეყნები; მთავრობა, რომელიც ატარებს რეფორმებს ვიზის ლიბერალიზაციის მიზნის მისაღწევად და განმცხადებელი ქვეყნის საზოგადოება. პირველი ნაბიჯი გულისხმობს საკუთარი პოზიციის მკაფიოდ გაცხადებას ევროკავშირისა და

ამ სამკუთხედში (**ევროკავშირი-მთავრობა-სამოქალაქო საზოგადოება**) ავტორიტეტისა და სანდობის მოპოვება სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციას შეუძლია შემდეგი სამი ასპექტის ნათლად დემონსტრირებით: საკითხის ექსპერტული ტექნიკური ცოდნა, დამოუკიდებელი პოლიტიკური ანალიზის წარმოების გამოცდილება და წარმატებული ადვოკატურული კამპანიების ჩატარების გამოცდილება. აშკარაა, რომ მსგავსი ავტორიტეტის მოპოვებას გარკვეული დრო ესაჭიროება. მომდევნონ წინაპირობაა ინსტიტუციური სტაბილურობის მაღალი ხარისხი, რასაც წათელყოფს ორგანიზაციის ისტორია, პასუხისმგებლობათა მკაფიო გამიჯვნა და კვალიფიცირებული პერსონალის არსებობა. ინსტიტუციური სტაბილურობა აუცილებელია გრძელვადიანი პარტნიორობის დასამყარებლად ვიზის ლიბერალიზაციის პროცესში.

სამოქალაქო საზოგადოებათა ჩართულობა რეფორმების გამტარებელი მთავრობებისთვის სამი ძირითადი კუთხითა მნიშვნელოვანი. უპირველეს ყოვლისა, სამოქალაქო საზოგადოების აქტორებს შეუძლიათ, აუხსნან დანარჩენ საზოგადოებას ევროკომისიისა და ნაციონალური მთავრობის პოზიცია მიმდინარე პროცესში, წათელი მოჰყონონ გაუგებრობებს, უზრუნველყონ დამატებითი ინფორმაცია საჭიროების შემთხვევაში და საკითხები სწორ ჭრილში წარმოაჩინონ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ წარმოადგინენ მხარეს მიმდინარე მოლაპარაკებებში, სამოქალაქო აქტორები შეიძლება მოწვეული იქნან ნებისმიერი მხარის მიერ როგორც კონსულტანტები, რომლებიც მხარეებს ჩიხიდან გამოსვლაში დახმარებიან.

მეორე მხრივ, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები დახმარებას უწევენ ევროკავშირსა და ნაციონალურ მთავრობას იმით, რომ ეწევიან საზოგადოების განათლებას პროცესის მიერ გენერირებული სარგებლის შესახებ, რაც გულისხმობს არა მხოლოდ საბოლოო თვალსაჩინო შედეგს უვიზო მიმოსვლით, არამედ მოქალაქეთა ინტერესებისკენ მიმართული კონკრეტული სამსახურების გარდაქმნას (პასპორტების გაცემა, კორუფციისა და ორ-

განიზებული დანაშაულის წინააღმდევ უფრო ეფექტური ბრძოლა, პირადი მონაცემების დაცვა).

მესამე, ყველაზე ნაკლებად თვალსაჩინო ფუნქცია, ასევე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების კომპეტენციაში შედის. რეფორმებზე ორიენტირებული მთავრობა დგას საშიშროების წინაშე, დაკარგოს მზაობა რეფორმების განსახორციელებლად, რაც, განსაკუთრებით, მოსალოდნელია მკაცრი საბიუჯეტო განხილვებისა და ევროკავშირთან მიერთების ცხადი პერსპექტივის არარსებობის ვითარებაში. სამოქალაქო ორგანიზაციებმა, ერთი მხრივ, უნდა წაახალისონ მთავრობა რეფორმებისკენ უცხოური გამოცდილების შეთავაზებით და დემონსტრირებით იმისა, რომ „შეიძლება გაკეთდეს“, მეორე მხრივ, დაეხმარონ მას ძეირადლირებული შეცდომების თავიდან არიდებაში, რაც მდგომარეობს სტრატეგიული საკითხების ირგვლივ უფრო დამოუკიდებელი და გრძელვადანი ხედვის მიწოდებაში მთავრობის შიდა დაცალკევებულობისა და საბიუჯეტო სახსრებისთვის უწყებათაშორისი ბრძოლის პირობებში, რამაც, სავსებით მოსალოდენლია, გადაფაროს სტრტეგიულ საკითხთა მნიშვნელოვნობა.

ანალიტიკური ცენტრები და კვლევითი ინსტიტუტები, მაგალითად, შეიძლება დაეხმარონ მინისტრთა კაბინეტს, პრემიერ-მინისტრს ან პრეზიდენტს (პოლიტიკური სისტემის მიხედვით) თავიანთი ანალიტიკური შესაძლებლობებით – სამთავრობო უწყებებში მოღვწე ანალიტიკოსების მუშაობის პარალელურად. ამ გზით, მათ შეუძლიათ ჩაატარონ არსებული რესურსების განკარვის სახელმწიფო პოლიტიკის პარალელური ანალიზი და წარმოადგინონ თავიანთი ხედვა გასატარებელ საქმიანობებიან მიმართებით.

რაც შეეხება რჩევების მინოდებას აღმასრულებელი შტოსთვის (მთავრობა, სახელმწიფოს მეთაური), რაც ორივე მხარისთვის სარგებლის მომტანია, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები განსაკუთრებულად ფრთხილად უნდა მოიქცნენ კონკრეტულ სამინისტროებთან მუშაობისას, რათა მოხდეს მათი იდენტიფიცირება აღნიშნულ უწყებებთან და ამდენად, არ დაკარგონ მიუკერძოებელ ანალიტიკოსთა რეპუტაცია.

სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შეუძლიათ, ხელი შეუწყონ კომუნიკაციისა და თანამშრომლობის დამყარებას უწყებებს შორის, რო-

გორიცაა, მაგალითად, თანამშრომლობა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის; ან უზრუნველყონ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმისაწვდომობა ევროკავშირის წარმომადგენელი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის. ყველა აღნიშნულ შემთხვევაში აუცილებელია გონივრულობის გამოჩენა და უზრუნველყოფა იმისა, რომ ურთიერთობები კონკრეტულ ოფიციალურ პირებთან ან სამთავრობო უწყებებთან რჩება გამჭვირვალე და ატარებს არავალდებულებით ხასიათს და რომ, შედეგად, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია ინარჩუნებს ობიექტურ, კრიტიკულ დამოკიდებულებას კონკრეტული სამინისტროსადმი თუ მთავრობისადმი ზოგადად.

თუმცა, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციის წინაშე არსებული ყველაზე დიდი გამოწვევა – იმ შემთხვევაში, თუ იგი გადაწყვეტს, რეკომენდაცია გაუწიოს მთავრობას – მდგომარეობას თავისი როლის ტრანსფორმირებაში საზოგადოებრივი ინტერესებისა და საყოველთაო ლირებულებების დამცველისგან სანდო და, ამავე დროს, მიუკერძოებელ მრჩევლამდე. საკმაოდ რთული ამოცანაა, ერთი მხრივ, დამოუკიდებელი და კრიტიკული პოზიციის შენარჩუნება, ხოლო მეორე მხრივ, დამსახურებული ემპათიის გამოვლენა მთავრობისადმი, რომელიც ცდილობს, შეასრულის ევროკომისის მიერ წაყენებული მოთხოვნები.

თუმცა, აღნიშნული მიდგომის სირთულე შეიძლება შემსუბუქდეს იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაცია თავიდანვე გააცნობიერებს, რომ მიგრაციის ნაციონალური პოლიტიკის „ევროპეიზაცია“ სარგებლის მომტანია თავად სამოქალაქო საზოგადოებისთვის, ვინაიდან უზრუნველყოფს დაცულობის გარანტიებს განსაკუთრებულ საჭიროებათა მქონე ჯგუფებისთვის (თავშესაფრის მაძიებლებისთვის და უმცირესობებისთვის) და ანესებს მექანიზმებს მიგრანტთა დისკრიმინაციისა და მათ მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად.

ერთი სიტყვით, პოლიტიკაზე და რეფორმების განხორციელების პროცესებზე გავლენის მოსახდენად აუცილებელია დაინტერესებულ მხარეთა ჩართვა. სამოქალაქო საზოგადოების დამოუკიდებელმა აქტორმა ნათლად უნდა გაახმოვანოს თავისი ლირებულებები და ამოცანები, და ღიად და გამჭვირვალედ ჩაერთოს ამ ამოცანების შესრულების პროცესში, იქნება რა აღჭურვი-

ლი ემპირიული გამოცდილებით და პოლიტიკის რეფორმის კონტექსტისა და პრაქტიკული შედეგების ზედმიწევნითი ანალიზით.

ლია ევროპისკენ მიმავალი გზა შესაძლოა გრძელი აღმოჩნდეს და ეს გზა არ იქნება ერთგვაროვანი; განსხვავებულ აქტორებს ამ გზის გაკვალვაში სხვადასხვა როლი აქვთ. სამოქალაქო საზოგადოებას შემოაქვს ექსპერტული ცოდნა, დირექტულებები და ძლიერი არგუმენტაცია, რათა მიღწეულ იქნეს გარდატეხის წერტილი, რომლის შემდგომაც გზა ხსნილი იქნება.

**ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის  
დამოუკიდებელი პოლიტიკური ცენტრების ქსელი**

ანალიტიკურ-პოლიტიკური ასოციაცია ლია საზოგადოებისთვის (PASOS) საქმიანობა მიმართულია დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და ლია საზოგადოების ლირებულებების პოპულარიზებისა და დაცვისკენ, რაც გულისხმობს კანონის უზენაესობას, ეფექტურ მმართველობას და ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას და რასაც ასოციაცია ახორციელებს სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციითა მხარდაჭერის გზით, რომლებიც ინდივიდუალურად და ერთობლივად ხელს უწყობენ საზოგადოებრივ მონანილეობას სახელმწიფო პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის დონეზე, სხვა ევროპულ და გლობალურ სტრუქტურებში და ევროპისა და ცენტრალური აზიის უფრო ვრცელ სამეზობლოში.

**PASOS**

**Policy Association for an Open Society**

ანალიტიკურ-პოლიტიკური ასოციაცია ლია საზოგადოებისთვის

ჩეხეთის რესპუბლიკა, პრაღა, 1, 1100

ტერმინის №3

ტელ/ფაქსი: +42 2223 136444

ელფოსტა: [info@pasos.org](mailto:info@pasos.org)

[www.pasos.org](http://www.pasos.org)





OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION

თბილისის დაწინაურებას და განვითარება

ISBN 978-9941-0-6059-5



9 789941 060595 >